ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№71 (1581)

15–17 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე ბულგარელის „გრიალმა" შეიწირა

ლაშა სულაბერიძე — დაბადებული 1965 წელს. დაამთავრა 58-ე საშუალო სკოლა. ფიზკულტურის ინსტიტუტი.





დათო ჯაყელი — დაბადებული 1965 წელს. დაამთავრა 58-ე საშ. სკოლა. ივ.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი.

**13 ივლისს, ღამით, „ტოიოტას" მარკის ავტომობილი, რომელსაც საქართველოში „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი მართავდა, დაეჯახა ორ თბილისელს, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ.**



13 ივლისს, გვიან ღამით, როდესაც თბილისის საგზაო პოლიცია სულეიმან დემირელის დახვედრის სამზადისში ფუსფუსებდა და ქალაქში მოძრაობის წესების დასარეგულირებლად არ ეცალა, „ტოიოტას" მარკის ავტომანქანამ, რომელსაც მთვრალი დიპლომატი მარინოვი მართავდა, ორი ვერელი ბიჭის სიცოცხლე შეიწირა. ეს ამბავი ჩაის სახლთან, მელიქიშვილის კუთხეში მოხდა, იქ, სადაც დათო ჯაყელმა (ჯაყო) და ლაშა სულაბერიძემ მთელი თავისი ცხოვრება გაატარეს. ლაშას სახლიდან რამოდენიმე მეტრის ნაბიჯზე დარტყმის ხმაზე ამბის გასაგებად გამოსულ დედას საკუთარი შვილი და მისი მეგობარი შერჩა ხელში. არც ერთს სული საავადმყოფომდე არ მიჰყოლია, ანდა, როგორ მიყვებოდათ ხერხემალ და ძვლებდამტვრეულებს, მანქანის სიჩქარე ხომ საათში 100 კილომეტრზე გაცილებით მაღალი იყო.

დათო ჯაყელს 3 მცირეწლოვანი შვილი დარჩა: ორი ბიჭი და ერთი გოგონა. ლაშა სულაბერიძეს კი 10 წლის ბიჭი. წავიდნენ ჩვენგან თბილისელი ბიჭები, წავიდნენ უაზრო სიკვდილით. ამქვეყნიურ უბედურებას და განუკითხაობას გადარჩენილები ვიღაც მთვრალი ბულგარელის „გრიალმა" შეიწირა, რომელსაც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ავადმყოფების და გაჭირვებულების შველა ევალება. ალექსანდრე მარინოვი საქართველოში „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი გახლავთ.

დიპლომატიური იმუნიტეტი ხელს უწყობს და რატომ გაივლიდა ექსპერტიზას ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობაზე. ეგ კი არა, ქართველების ყველა უცხოელისადმი პატივისცემის ამბავი რომ იცის, შეიძლება „პახმელიაზე" გამოყვანაც კი მოგვთხოვოს. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს პირდაპირ განუცხადა – თქვენი აპარატურა ხარისხში მოიკოჭლებს და ამიტომ ექსპერტიზას არ გავივლიო. მანამდე კი მისთვის ორი ახალგაზრდა კაცის მოკვლა და ორი ოჯახის გაუბედურება მხოლოდ „ტრაგიკული შემთხვევაა", როგორც ფედერაციაში მოგვახსენეს. ძალიან ეჭვი გვეპარება ალექსანდრე მარინოვს იგივე მოელოდეს, თავისი სახელმწიფო ისევე მოექცეს, როგორც ჩვენი – გიორგი მახარაძეს. გახსოვთ, ალბათ, მაშინ ქვეყანა იქცეოდა ქართველი დიპლომატის ძაგებით.

გიორგი მახარაძესთან დაკავშირებით ისეთი ამბები იყო ამერიკაში ატეხილი, ლამის ქართველი მკვლელის სინონიმად გამოცხადდა, ჩვენი სახელმწიფო იძულებული გახდა იმუნიტეტი მოეხსნა ქართველი დიპლომატისათვის. აქედან გამომდინარე, თბილისში მომხდარი ტრაგედია თითქმის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. თუ საქართველო ვერ მოახერხებს აიძულოს მკვლელის ქვეყანა და ვერ გაასამართლებს მარინოვს, ჩვენ ყველანი სულში ჩაფურთხებულები აღმოვჩნდებით.

ბულგარელის „გრიალმა" თბილისში ოთხი ბავშვი დააობლა, მკვლელის დაუსჯელად ბულგარეთში წაბრძანება საქართველოს ავტორიტეტს დასცემს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**კობა კიკნაძე**

ნუგზარ გაბრიჩიძე:

## არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ მარინოვი არ შეეცდება დატოვოს საქართველო

2




4

# ედუარდ შევარდნაძე თურქეთში მიიწვიეს

გუშინ, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტებმა ერთობლივ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ, პრეს-კონფერენცია გამართეს.

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, ორ რესპუბლიკასა და მთავრობებს შორის ხელი მოეწერა 9 დოკუმენტს. ესენია: დეკლარაცია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის „თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ“, „სასაზღვრო შეთანხმება“, ხელშეკრულება „საზღვაო საზღვრის განსაზღვრის შესახებ“. მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებებს „საელჩოების უძრავი ქონების შესახებ“, „სამხედრო მომზადების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, ხელმოწერილია ასევე ოქმები „უმაღლესი განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტისა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების გენერალურ დირექტორებს შორის ხელი მოეწერა ოქმს „1997–1998 წლებში თურქეთის საპატენტო ინსტიტუტსა და საქართველოს საპატენტო კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ“.

საუბარი შეეხო სამომავლო ხელშეკრულებების პროექტებს, მათ შორის პროექტს „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“, აღინიშნა, რომ ხელმოწერილი დოკუმენტები ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას. ითქვა ასევე, რომ დღეს საქართველო-თურქეთს შორის 50-ზე მეტი შეთანხმებაა მიღწეული.

ე.შევარდნაძის თქმით, 29 ქვეყანას შორის, რომლებიც საქართველოში თავიანთ ინვესტიციებს ახორციელებენ, ერთ-ერთი პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ევროაზიული დერეფნის განვითარების, გაზსადენის, ნავთობსადენის და რკინიგზის მშენებლობის, საბორნე მიმოსვლის, კულტურის, ძეგლთა და ბუნების დაცვის, ასევე სტუდენტთა გაცვლის საკითხებზე.

სულეიმან დემირელის თქმით, საქართველო – თურქეთს შორის პრობლემები არ არსებობს, არსებობს მიზანი – თანამშრომლობა ყველა სფეროში. მან ყურადღება გაამახვილა ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის საკითხზე და ელ.გადამცემი ხაზების პროექტებზე.

რაც შეეხება ნავთობსადენს ბაქო-ფოთი-ჯეიჰანი, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ნავთობსადენს თავისი კანონზომიერება გააჩნია და ამის უგულვებელყოფა შეუძლებელია.

დასასრულს, სულეიმან დემირელმა საქართველოს პრეზიდენტი მისთვის ხელსაყრელ დროს, თურქეთში მიიწვია. (იფრინდა)

## ნუგზარ გაბრიჩიძე:

# არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ მარინოვი არ შეეცდება დატოვოს საქართველო

„არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში, ალექსანდრე მარინოვი არ შეეცდება დატოვოს საქართველოს საზღვრები“, განაცხადა გუშინ პრეს-კონფერენციაზე თბილისის პროკურორმა, ნუგზარ გაბრიჩიძემ.

მისი თქმით, მარინოვმა მოითხოვა ვაკის რაიონში მდებარე მისი სახლის დაცვის გაძლიერება იმ მოტივით, რომ მის მიერ მანქანით გატანილი ორი ახალგაზრდის ნათესავები „შურისძიების მიზნით“ შეეცდებიან მასზე თავდასხმას.

13 ივლისის ღამეს ალექსანდრე მარინოვმა თავისი „ტოიოტით“, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა, მელიქიშვილის ქუჩაზე ორი თბილისელი გაიტანა, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ.

„საღამოს მარინოვი წვეულებაზე იმყოფებოდა სასტუმრო „მეტეხში“ და პროკურატურას გააჩნია ვიდეოკადრები, სადაც დაფიქსირებულია, თუ როგორ სვამდა მარინოვი წითელ ღვინოს“, – თქვა გაბრიჩიძემ.

მისი თქმით, „მარინოვმა უარი განაცხადა ექსპერტიზაზე და სასწრაფოდ დარეკა ჟენევაში, „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციის ცენტრალურ ოფისში და შემდეგ განაცხადა, რომ ყველა შეკითხვაზე მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით გასცემს პასუხს“.

„მარინოვმა უარი განაცხადა ყოველგვარი ჩვენების მიცემაზე და სურათის გადაღებაზეც კი. ახლა ის თავის სახლში იმყოფება და ჩვენ არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ ის არ შეეცდება დატოვოს საქართველოს საზღვრები, ისარგებლებს რა იმუნიტეტით“, – თქვა გაბრიჩიძემ.

საქართველოს პროკურატურის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის, ერიკ სვანიძის თქმით, „იმუნიტეტის მოხსნის საკითხი ბულგარეთის პრეზიდენტის დონეზე უნდა გადაწყდეს, ისევე, როგორც გადაწყდა ეს საკითხი მაშინ, როცა ქართველმა დიპლომატმა, გიორგი მახარაძემ აშშ-ს მოქალაქე გაიტანა მანქანით“.

სვანიძემ დამსწრეთ შეახსენა, რომ საქართველოს საელჩოს თანამშრომელმა აშშ-ში, გიორგი მახარაძემ, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში მოხვდა ავარიაში და რასაც შედეგად 16 წლის ამერიკელი გოგონას დაღუპვა მოჰყვა, „თავად გადაწყვიტა ჩვენებების მიცემა“ მაშინ, როცა „მარინოვმა განაცხადა, რომ არ ენდობა ქართველ ექიმებსა და ექსპერტებს“. (პრაიმ-ნიუსი)

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ალექსანდრე მარინოვისთვის ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მოხსნას მოითხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტა გააგზავნა ჟენევაში, „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში, რომელშიც მოითხოვს დიპლომატიური იმუნიტეტი მოეხსნას ამ ორგანიზაციის დელეგაციის ხელმძღვანელს საქართველოში, ალექსანდრე მარინოვს, რომელმაც საქართველოს ორი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა 13 ივლისს მოხდენილი ავარიის შედეგად.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, თემურ მურღულიამ, მომხდარ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მოწმეების დაკითხვა, მაგრამ მარინოვისთვის იმუნიტეტის მოხსნამდე „პოლიციას უფლება არ აქვს პატიმრობის ქვეშ აიყვანოს მისი ავტომობილი და ჩაატაროს აუცილებელი ექსპერტიზა“.

ეროვნული

## მიხეილ სააკაშვილი:

# მარინოვი საქართველოში უნდა გასამართლდეს



„მიმაჩნია, რომ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში, ალექსანდრე მარინოვი უნდა გასამართლდეს“,– უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ, საკონსტიტუციო საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, მსგავსი ავარიისთვის, რომლის შედეგად 16 წლის ამერიკელი გოგონა დაიღუპა, საქართველოს საელჩოს თანამშრომელს ვაშინგტონში, გიორგი მახარაძეს, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, მოუხსნეს დიპლომატიური იმუნიტეტი. მისი სასამართლო ოქტომბერში ვაშინგტონში გაიმართება.

სააკაშვილის თქმით, თუ საქართველოს მოქალაქეს გაასამართლებენ ვაშინგტონში, მაშინ ბულგარელი დიპლომატიც საქართველოს კანონმა უნდა დასაჯოს. (პრაიმ-ნიუსი)

# გუშინდელი ავარიის შედეგად 4 ბავშვი დაობლდა

„მის ნამუსზე იყოს, არავის დასჯას არ მოვითხოვ“ – განუცხადა პრაიმ-ნიუსს მარინოვის გამო მომხდარი გუშინდელი ავარიის ერთ-ერთი მსხვერპლის, ლაშა სულაბერიძის დედამ, ია სულაბერიძემ, რომელიც სახლის აივნიდან უყურებდა, როგორ დაეჯახა მანქანა ორ ადამიანს. საქართველოში „წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მარინოვი 13 ივლისს, ღამის პირველის ნახევარზე ავტომანქანა „ტოიოტა“-თი მელიქიშვილის ქუჩაზე დაეჯახა ლაშა სულაბერიძეს და დავით ჯაყელს. ორივე ახალგაზრდა საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ია სულაბერიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ერთ-ერთი ახალგაზრდათაგანი მისი შვილი იყო, თვითონ გამოიძახა სასწრაფო დახმარება. „ყოველდღე ვხედავდი ამ მანქანას, რა ვიცოდი, რომ ჩემი შვილის სიცოცხლე ამ მანქანით დასრულდებოდა“, – ამბობს დაღუპულის დედა.

32 წლის სპორტულ ჟურნალისტს, ლაშა სულაბერიძეს დარჩა 10 წლის ვაჟი სანდრო.

„ჩვენ აღარაფერი გვეშველება, უცხოელები საქართველოში ჩამოდიან და ქვეყანა თავისი ჰგონიათ“, ამბობს ლაშა სულაბერიძის მეუღლე ნინო.

„მკვლელი უნდა დაისაჯოს, ორი ახალგაზრდის სიკვდილი მარინოვს არ უნდა შერჩეს“ – ამბობს მეორე დაღუპულის, დავით ჯაყელის დედა ლამარა წეროძე. – „თუკი ამერიკის მთავრობამ ჩვენს დიპლომატს გიორგი მახარაძეს არ აპატია 16 წლის ამერიკელი გოგონას სიკვდილი, არც ჩვენმა მთავრობამ უნდა აპატიოს ვინმეს საკუთარი მოქალაქეების მკვლელობა“.

31 წლის დავით ჯაყელს 3 შვილი დარჩა.

ორივე გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, რომ მარინოვი დიდი სისწრაფით მართავდა მანქანას და ნასვამი იყო. (პრაიმ-ნიუსი)

# წითელი ჯვრის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს

გუშინ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციამ ჟენევიდან ფაქსი გამოაგზავნა საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სახელზე, რომელშიც ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ 13 ივლისს მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის გამო, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ორი მოქალაქის, ლაშა სულაბერიძის და დავით ჯაყელის დაღუპვა.

საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციის გენერალური მდივნის, ჯორჯ ვებერის მიმართვაში ნათქვამია: „ნება მოგვეცით, ჩვენი ორგანიზაციის სახელით, უდიდესი მწუხარება გამოვხატოთ და სამძიმარი ვუთხრათ სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაღუპულთა ოჯახებს და მთელს ქართველ ხალხს“.

მიმართვაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, აპირებს თუ არა ფედერაცია ალექსანდრე მარინოვისთვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნას. (პრაიმ-ნიუსი)

# გაზეთ «საქართველოს» ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 17 ივნისის სარედაქციო წერილში აღნიშნული იყო, რომ გაზეთ „ალიას“ ინფორმაციით აჭარაში ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს და აკრძალეს პროფესორ მიხეილ მახარაძის წიგნი „სხალთის ზარები“, ხოლო 14 მაისის გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებული კოლექტიური წერილის თანახმად, მ.მახარაძის მშობლიურ სხალთაში ჩატარდა კრება, სადაც მას სხალთიდან (და არა მხოლოდ სხალთიდან) მოკვეთით დაემუქრნენ. 18 ივნისს კი ჩვენსავე გაზეთში გამოქვეყნდა სხალთელთა წერილი, სადაც მხილებული და დაგმობილი იყო გაზეთ „აჭარის“ ხსენებული კოლექტიური წერილის პათოსი, დემაგოგიურობა და ინსპირაციულობა.

ივლისის დასაწყისში აჭარის ტელევიზიას სათანადო რეაგირება მოუხდენია ჩვენი გაზეთის აღნიშნულ პუბლიკაციებზე. აღუნიშნავს, რომ ჩვენი გაზეთი შეცდომაში შეიყვანა გაზეთ „ალიას“ მცდარმა ინფორმაციამ მ.მახარაძის წიგნის აკრძალვის თაობაზე. აჭარის ტელევიზიას უჩვენებია საგანგებოდ გადაღებული კადრები, საიდანაც ჩანს, რომ „სხალთის ზარები“ ბიბლიოთეკის თაროზეა და კატალოგშიც იძებნება.

ჩვენი გაზეთის პუბლიკაციებამდე დაინტერესებულმა პირებმა სათანადოდ მოიძიეს „სხალთის ზარები“ და იგი ვერ ნახეს ვერც ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში და ვერც ხელვაჩაურის რაიონულ ბიბლიოთეკაში (ცნობისათვის: გასულ წელს აღნიშნულ ბიბლიოთეკებს ავტორმა საკუთარი ავტოგრაფით გადასცა წიგნი. როგორც ჩანს, ჩვენი პუბლიკაციების შემდეგ აუტოდაფეს ინსპირატორებმა წიგნები დააბრუნეს ბიბლიოთეკაში. მოკლედ, ჩვენმა პუბლიკაციებმა მოსალოდნელზე მეტი ეფექტი მოახდინა. წიგნები დააბრუნეს ბიბლიოთეკებში.

სამწუხაროდ, აჭარის ტელევიზიას მიუჩქმალავს ჩვენი გამოსვლების მთავარი მომენტი – 14 მაისის გაზეთ „აჭარის“ კოლექტიურ წერილზე სხალთელთა მკაცრი რეაქცია (ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ამით 14 მაისის გაზეთ „აჭარის“ ეს სამარცხვინო კოლექტიური წერილი დაიმალება?). როცა აჭარის ტელევიზია ასეთ აშკარა ფაქტს უმალავს ტელემაყურებელს, ამის შემდეგ, რამდენად გულწრფელი და დამაჯერებელია მისი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აჭარაში მ.მახარაძის „სხალთის ზარები“ არც არასოდეს აუკრძალავთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შევარდნაძე ნატოს გაფართოების შესახებ

„ნატოს გაფართოება, ევროატლანტიკური საბჭოს შექმნა, საქართველოს შესვლა ამ კავშირში თანამედროვე მოვლენად მიაჩნიათ“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში.

„ევროპა, ევრო-ატლანტიკური ქვეყნები ეფექტურ ფორმებს ეძებენ სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ისტორიული გამოცდილება დემოკრატიულ საზოგადოებას სხვაგვარად მოქმედების უფლებას არ აძლევს“.

საქართველოს პრეზიდენტს მცდარად მიაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნატოს გაფართოება და მის შემადგენლობაში ახალი წევრების მიღება ვინმეს საზიანოდ ხდება. საუბარია „მშვიდობისა და უსაფრთხოების გლობალურად მოქმედ სისტემაზე“. „რუსეთს, – აღნიშნა შევარდნაძემ, – კვლავინდებურად შეუძლია უნიკალური როლის შესრულება ევროპისა და მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში“.

შევარდნაძის თქმით, ევრო-ატლანტიკურ კავშირში გაერთიანება არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო უარს ამბობს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე ადრე შექმნილი გაერთიანებების ჩარჩოებში.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყნის კურსის განსაზღვრისას, მისი მთავრობა ხელმძღვანელობს „არა დეკლარაციების დიდი რაოდენობით,არამედ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობით“.

„დსთ-ს ჩარჩოებში თანამშრომლობის დონე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად რეალურად შესრულდება სახელმწიფო მეთაურთა სამიტის გადაწყვეტილებები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და რამდენად განხორციელდება ალმა-ათის შეხვედრისას ნაკისრი ვალდებულებები აგრესიული სეპარატიზმის დაძლევის თაობაზე“, – განაცხადა შევარდნაძემ. (პრაიმ-ნიუსი)

## მენაღარიშვილი უკმაყოფილოა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ირაკლი მენაღარიშვილმა უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ აფხაზურმა მხარემ, დაარღვია რა დიპლომატებში მიღებული გარკვეული „დუმილის კანონი“, რაიმე კონკრეტული შედეგის მიღწევამდე დაიწყო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების კომენტირება.

ახლახანს აფხაზთა ლიდერმა, ვლადისლავ არძინბამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ, თითქოს, სოხუმი მზად არის ხელი მოაწეროს მოსკოვის მიერ შეთავაზებულ ოქმს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე და მის დამატებას, რომელიც ბორის ბერეზოვსკის შუამავლობით შეიმუშავეს. ამასთან დაკავშირებით ირაკლი მენაღარიშვილმა სააგენტო ინტერფაქსს განუცხადა, რომ დღეს, როდესაც კონსულტაციები „ამ ურთულეს საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს“, მსგავსი განცხადებები ხელს ვერს შეუწყობენ მოლაპარაკებების პროცესის წარმატებით წარმართვას.

თანაც, მენაღარიშვილის თქმით, მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მოლაპარაკებების მსვლელობისას, მათ თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარ კომენტარზე.

მინისტრის თქმით, როგორც თავად აფხაზურმა მხარემ, ასევე შუამავლებმა – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და მთავრობის სხვა მაღალი წოდების პირებმა კარგად უწყიან იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც რეალური კონსენსუსის მიღწევის საშუალებას არ იძლევა.

აუცილებელია მათი საქმიან ვითარებაში განხილვა და სრულიად უადგილოა „ნაჩქარევი და უსაფუძვლო განცხადებების გაკეთება“, – დასძინა მენაღარიშვილმა. (პრაიმ-ნიუსი)

• პასუხი ოპონენტებს

# რანი ვიქნებით?

**ალექსანდრე ჭაჭია**

„პროდასავლური ორიენტაციის“ შედეგია აგრეთვე ტოტალური იმიტაცია, დასავლური კულტურული ნიმუშებისადმი მიბაძვა, რომელიც ქართული ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ქცევის ნორმების, მორალისა და ზნეობის განდევნის ხარჯზე ხდება. მთელი პროპაგანდა მიმართულია წარსულის უგულვებელყოფაზე, წინა თაობებისა და მათი მოღვაწეობის დაცინვაზე. ტელევიზია, საშინელი არაპროფესიონალიზმის, ღრმა პროვინციალიზმის, დასავლური მასობრივი კულტურის უარესი ნიმუშებისადმი სასაცილო და ამაზრზენი მიბაძვის გარდა, უბრალოდ რყვნის ახალგაზრდობას, ღუპავს ერის ზნეობრივ პოტენციალს. დასავლეთში არსებული ეკონომიკური მექანიზმების ქართულ სინამდვილეში ხელოვნური გადმოტანა არნახული ტემპებით ანგრევს ქვეყნის სამეურნეო კომპლექსს, მაგრამ ეს ცალკე თემაა, რომელსაც, ვეცდები, ცალკე განვიხილო.

ამიტომ საქართველოს პატრიოტულმა ძალებმა უნდა შეიგნონ ისტორიისა და ქართველი ერის მომავალი თაობების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა და ვალდებულნი არიან უარყონ ბრმა „დასავლური ორიენტაცია“, როგორც ერისათვის დამღუპველი, მისი სოციო-კულტურული თვითმყოფადობის, ისტორიული სახისა და ეროვნული ღირსების გამანადგურებელი. აუცილებელია მოვუწოდოთ ერს საკუთარი ისტორიული გზის ბაზაზე განვითარებისაკენ, ეროვნული სპეციფიკისა და ტრადიციული ფასეულობების გათვალისწინებით და დასავლური ცივილიზაციის მხოლოდ იმ მიღწევათა გადმოტანითა და გამოყენებით, რომლებიც კი არ ანგრევენ ტრადიციულ საზოგადოებას, არამედ ხელს უწყობენ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს განვითარებას.

ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს „პრორუსეთული ორიენტაციის“ საკითხისადმიც. რომელ „პრორუსეთულ ორიენტაციაზე“ შეიძლება დღეს ლაპარაკი, როცა რუსეთი უკვე წლების განმავლობაში თავად მიჰყვება „დასავლური ორიენტაციის“ გზას, რომელიც დამღუპველია, როგორც რუსეთის სახელმწიფოებრიობისათვის, ასევე რუსი ხალხისათვის. იმის გამო, რომ მიჰყვება მისთვის არადამახასიათებელ გზას და უარყოფს საკუთარ ისტორიულ სახეს, რუსეთი სწრაფი ტემპით საშინელ, გარყვნილ სიმახინჯედ, მსოფლიო ცივილიზაციის სანაგვედ იქცევა. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ რუსეთს ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და სოციოკულტურული თავისებურების სრული განადგურებისათვის რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება, საქართველოსათვის კი რამდენიმე წელიწადიც საკმარისია.

როგორც დასავლური და აღმოსავლური საზოგადოებების სოციალური ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების ანალიზი გვიჩვენებს, მათში ორი ტიპი გამოიყოფა – ინდივიდუალისტური და კომუნიტარული, თემური. ინდივიდუალისტური საზოგადოებები განვითარებული საბაზრო სისტემით ხასიათდებიან. ამ სისტემას საშიში ტრანსფორმაციისაკენ აქვს მიდრეკილება, რომლებიც იმით არის განპირობებული, რომ გაცვლა სულ უფრო ეწინააღმდეგება სოციო-კულტურულ ნორმებს, ეთნიკურ კავშირებს, ეროვნულ თავისებურებებს. საზოგადოება ქცევის იმ სტრატეგიის მონა ხდება, რომელიც სუბიექტის ორიენტირებას მხოლოდ შემოსავლის მიღებაზე ახდენს. ეს ნორმატივების, ქცევის წესებისა და სულიერი ფასეულობების დევალვაციას იწვევს, რაც საზოგადობის კრიმინალიზაციისა, ან მისი ფაშიზაციის იმპულსად შეიძლება იქცეს. გავიხსენოთ ისტორია. დღეს დასავლეთში გვერდს უვლიან იმას, რომ ევროპაში ფაშიზმი ჰიტლერის რეჟიმით როდი იფარგლებოდა. 1920-1945 წლებში თითქმის მთელი ევროპა – ეს „დასავლური ცივილიზაციის ცენტრი“ – ფაშიზმით იყო ავად. ქვეყნების უმრავლესობაში იყო ფაშისტური ან ნახევრადფაშისტური რეჟიმები საკუთარი ფაშისტი დიქტატორითურთ: მუსოლინი – იტალიაში, სალაზარი – პორტუგალიაში, ფრანკო – ესპანეთში, პეტენი – საფრანგეთში, ჰიტლერი – გერმანიაში, კოდრეანუ და შემდეგ ანტონესკუ – რუმინეთში, ხორტი – უნგრეთში, ჰაველიჩი – ხორვატიაში, ტისო – სლოვაკიაში, რასისტი პილსუდსკი – პოლონეთში და ა.შ. ჯერ კიდევ 1934 წლის დეკემბერში მონტროში ფაშისტური პარტიების მუსოლინის მიერ მოწვეულ ინტერნაციონალურ კონგრესზე წარმოდგენილი იყო 16 (!) ევროპული ქვეყანა. თანაც აგრესიულობითა და სიძულვილით ეს რეჟიმები ჰიტლერისეულს არ ჩამორჩებოდნენ. პოლონეთმა დაიკავა ზემო სილეზია კატოვიცეთურთ, წაართვა ავსტრიას მთელი სილიცია, დაიპყრო ჩეხოსლოვაკიის ნაწილი, უნგრეთმა დაიკავა ტრანსილვანიის ნაწილი, ბულგარეთმა რუმინეთს წაართვა დობრუჯა და ა.შ. ყველაფერი ეს მოხდა მანამდე, სანამ ისინი ყველა გერმანიის მსხვერპლნი გახდებოდნენ. დღეს მიღებულია „კომუნისტურ ანტისემიტიზმზე“ მჯელობა და სულაც არ არის მიღებული ხსენება იმისა, თუ როგორ ანადგურებდნენ, მაგალითად, ხორვატიის უსტაშები 1941 წელს ებრაელებსა და სერბებს, თანაც ისეთი სისასტიკით, რომ ამას მუსოლინის ჯარიც კი ეწინააღმდეგებოდა. ან, თუ როგორ დახოცეს OYH-ს ნაწილებმა უკრაინაში თითქმის მილიონი ებრაელი, თუ როგორ აძრობდა ცოცხლად ტყავს ებრაელ ბავშვებს რუმინეთის „რკინის გვარდია“ 1940 წელს და ა.შ. აი, ასეთ ანომალიურ მოვლენებს ბადებს დასავლეთის ე.წ. „ცივილიზებული“ ქვეყნების ინდივიდუალისტური საზოგადოება. ასეთი საშიში ტრანსფორმაციებისკენ მიდრეკილება გააჩნია ინდივიდუალიზმისა და სოციალდარვინიზმის იდეოლოგიას.

კომუნიტარული საზოგადოებები ხასიათდებიან შრომისა და ცხოვრების კოლექტიური ფორმების პრიორიტეტით და კოლექტიური ადაპტაციის ფორმების არსებობას გულისხმობენ. ინდივიდის მოქმედება ორიენტირებულია მრავალრიცხოვან არაფორმალურ ნორმებზე, რომელთა დარღვევას მისთვის, როგორც საზოგადოების, თემის წევრისათვის არასასურველი შედეგები მოჰყვება. კომუნიტარულ საზოგადოებაში ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობს. აქ სრულიად შესაძლებელია ჩიხებიც კი, მაგრამ ამ საზოგადოებებს გააჩნია ამ ჩიხებიდან გამოსვლის საოცარი უნარი, მათ შეუძლიათ მოკლე ვადაში მთელი საზოგადოებრივი პოტენციალის პრიორიტეტული მიმართულებით მობილიზება და ბალანსირებული, პროპორციული ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ-აზიური რეგიონის ქვეყნები, საბჭოთა კავშირი 30-50-იან წლებში. მაშასადამე, საზოგადოების რომელ ტიპს ეკუთვნის ქართველი ერი? უდაოდ კომუნიტარულს, თემურს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ინდივიდუალისტური ტიპი უარესია, უბრალოდ, ის სხვა არის, სხვა ერებისა და სხვა კულტურებისათვის დამახასიათებელი.

თუ მსოფლიო შესძლებს გლობალური კატასტროფის თავიდან აცილებას, მაშინ უდაოდ მოვა დრო, როცა მსოფლიო ინტელექტუალური ელიტა რეალურად და არა დეკლარატიულად აღიარებს *საზოგადოების ორგანიზაციის სოციალური ფორმების პლურალიზმის პრინციპს*, რომლის შესაბამისად ნებისმიერ საზოგადოებას განვითარების საკუთარი გზის უფლება აქვს, გზის, რომელიც მის კულტურულ, ეროვნულ, სოციალურ თავისებურებებს შეესაბამება. მაგრამ სანამ ეს დრო მოვა, მცირე ერებმა ადგილობრივი უვიცი პოლიტიკური ელიტების ხელმძღვანელობით შესაძლოა საკუთარი კულტურულ-ისტორიული სახე დაკარგონ. ამიტომ საქართველოში არსებულმა პატრიოტულმა ძალებმა უარი უნდა თქვან კაცობრიობის განვითარების ერთიან უნივერსალურ მოდელზე, რომელიც აზროვნების ტიპზე, ტრადიციებზე, კულტურაზე, ეროვნულ სპეციფიკაზე თითქოსდა არ არის დამოკიდებული. ეს თანაბრად ეხება საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტული კონცეფციის მომხრეებს, რომლებიც იზიარებენ სწორხაზოვანი მიმდევრობითი განვითარების იდეას, კომუნიზმზე წარმოდგენას, როგორც საზოგადოებრივი განვითარების დამაგვირგვინებელ ფორმაციას, სოციალისტური საზოგადოებრივეკონომიკური ფორმაციის წარმოსახვას, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის ორგანიზაციის ყოვლისმომცველი პრინციპისა. ეს შეეხება აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ამერიკანიზმისა და ევროპოცენტრიზმის გამტარებლებს, იმ ინდივიდუალიზმის აბსოლუტიზაციას რომ ცდილობენ, რომელიც სპეციფიურად დასავლური, ინგლისურ-საქსონური მსოფლმხედველობის მიერაა წარმოშობილი და რომელიც ისტორიულ განვითარებას ასევე სწორხაზოვან პროცესად მიიჩნევს. ეს „იდეოლოგები“ მოსახლეობას დაუღალავად ახვევენ თავს პრინციპულად არასწორ მტკიცებას იმის შესახებ, რომ პლანეტის მთელმა მოსახლეობამ უნდა გაიაროს დასავლეთის ქვეყნების გზა, მათგან გადმოიღოს საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის მათეული მეთოდები და წესები. საინტერესოა, ის, რომ პლურალიზმის იდეა, რომელიც თვით დასავლეთის მიერაა გავრცელებული, როგორც ცივილიზაციის არსებობისა და განვითარების საფუძველი, ქრება მათ კონცეფციებში მაშინ, როცა საქმე საზოგადოების სოციალურ მოწყობას შეეხება. ნუთუ პლურალიზმი სხვადასხვა ქვეყნისა და ერის განვითარების სხვადასხვა გზას არ გულისხმობს?

მეტიც, ისტორიამ უკუაგდო ერების შერწყმის თეზისი იმ გაგებით, რომ ხალხებმა ფაქტიური უარი უნდა სთქვან საკუთარ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებზე და დასავლური საზოგადოების თითქოსდა უნივერსალურ პრინციპებს უნდა მიჰყვნენ (სხვათა შორის, დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისაგან პირველმა ასეთი მიდგომის საშიშროება ისტალინმა შეიგნო, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კოსმოპოლიტიზმის იდეოლოგიას). *ისტორიამ დაამტკიცა, რომ სწორედ ერები ისტორიის მთავარ სუბიექტს წარმოადგენენ და ამ როლში შეიგნებენ და განახორციელებენ საკუთარ ინტერესებს, მოთხოვნებსა და ისტორიულ ვალს.* ამიტომ მთავარი, რისკენაც 1993 წლიდან ყველა შესაძლო ხერხით მოვუწოდებდი და მოვუწოდებ პრეზიდენტს, ოპოზიციას, ინტელიგენციას – ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების საკუთარი მოდელის შემუშავება გახლავთ. როცა 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობას ვღებულობდით, მე და ჩემს მეგობრებს ახალი პრეზიდენტის მთავარ ამოცანად სწორედ ეროვნული განვითარების საკუთარი, ქართული კონცეფციის შექმნა და რეალიზაცია მიგვაჩნდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, არჩევნებში კვირაია-ლეკიშვილების და მისთანანების აქტიური „მონაწილეობის“ გამო, საქართველოში დარჩა იგივე პრეზიდენტი, იგივე დილეტანტური პარლამენტი, იგივე კორუმპირებული მთავრობა და იგივე დეიდეოლოგიზირებული რეჟიმი.

დღეს, როცა საქართველოში ანტიეროვნული და არნახულად კორუმპირებული ხელისუფლებაა, მათდამი მიმართვა უაზრობაა. ამიტომ ყოველმა ქართველმა თვითონ უნდა შეიგნოს, რომ დასავლური საზოგადოების არსებობის პრინციპების ბრმა, ხელოვნური გადმოღებით, ჩვენთვის უცხო ორიენტაციებისა და ფასეულობების მიბაძვით, ჩვენ ამერიკელები მაინც ვერ გავხდებით, მაგრამ ქართველობას კი დავკარგავთ. მაშ რანი ვიქნებით?

1997 წ. ივნისი

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №66-70.



# მშენებლობა თურქეთამდე ახალქალაქის გავლით

თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველო-თურქეთის დელეგაციების მუშა ჯგუფებმა გუშინ გამართულ შეხვედრებზე განიხილეს საქართველო-თურქეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხები.



აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ აკაკი ჩხაიძემ „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ხელმოსაწერად მზადაა შეთანხმება ახალქალაქის გავლით (საიდანაც თურქეთის საზღვრამდე 28 კმ-ია) საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესახებ, რაც ა.ჩხაიძის თქმით, ხელს შეუწყობს რეგიონის წარმატებით ათვისებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. გარდა ამისა, მისი თქმით, ახალქალაქის ვარიანტი ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანია.

# «ენგურჰესი» ამუშავდა

გუშინ, დილის 10 საათზე ამუშავდა „ენგურჰესი“-ს მეხუთე ჰიდროაგრეგატი. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტს „საქენერგოგენერაციის“ გენ. დირექტორის მოადგილემ გიორგი მაყაშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, 13 საათისათვის ენგურჰესის დატვირთვამ 140 მგვტ. სიმძლავრე შეადგინა. გასაშვებად მზად არის პირველი და მეოთხე ჰიდროაგრეგატი.

გ.მაყაშვილის ინფორმაციით, 16 ივლისისათვის ყველა აგრეგატი ამუშავდება. აგრეგატები პრაქტიკულად მზად არიან შემოდგომა-ზამთრის სეზონის სამუშაოებისათვის. ამ ეტაპზე მთავარი საზრუნავია წყალსაცავში წყლის დაგროვება, რაც გ.მაყაშვილის თქმით, გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. 1 სექტემბრისათვის ნომინალური მაქსიმალური დონე იქნება 510 მეტრი ზღვის დონიდან.

მიმდინარე თვის ბოლომდე „ენგურჰესი“ გამოიმუშავებს 7–8 მლნ. კვტ. სთ-ს დღე-ღამეში, ხოლო აგვისტოს თვეში დაგეგმილია 220 მლნ. კვტ. სთ-ის გამომუშავება.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკას ნორმალური მომარაგებისათვის დღე-ღამეში სჭირდება 35 მლნ. კვტ. სთ. ელ.ენერგია. თუმცა, დღეისათვის 20–22 მლნ. კვტ. სთ-ც საკმარისია. (იფრინდა)



● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

# ანდროპოვს არ ეშინოდა ბრძოლის

## ფილიპ ბობკოვი

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ხშირად ხდებოდა ამა თუ იმ ქალაქში სხვადასხვა მიზეზების გამო მასების მღელვარება. უფრო მეტად ეს მილიციის მოქმედების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. არცთუ იშვიათად ბრბოს პარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების შენობებიც დაურბევია.

შემდგომში მასობრივი უწესრიგობები ხდებოდა თითქმის ყოველ წელიწადს, მათში ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას. წესრიგის დამყარებას ხშირად საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები აწარმოებდნენ, მაგრამ პასუხი მაინც უშიშროების ორგანოებს მოეკითხებოდათ ხოლმე: ისინი არიან დამნაშავე ყველაფერში, მხედველობიდან გამორჩათ.

1967 წელს, როდესაც სუკ-ში ანდროპოვი მოვიდა, ჩიმკენტის არეულობა დაიწყო. მიზეზი მრავალი იყო და ბევრი, მათ შორის, სერიოზული. სუკ-ში იცოდნენ რეგიონში არსებული საგანგაშო მდგომარეობის შესახებ. არაერთხელ მოახსენეს სკკპ ცკ-ს. ანდროპოვმა პირადად გააფრთხილა: ეს ყველაფერი შეიძლება ცუდად დამთავრდეს, თუ არ მიიღებთ სერიოზულ ზომებს და არ ჩაატარებთ აუცილებელ განმარტებით სამუშაოებს. თუმცა პასუხი ყოველთვის ერთი იყო: „ნუ ცდილობთ სურათის დრამატიზირებას. ცკ-ს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს გასაკეთებელი“.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48–70.

1969 წელს რუბცოვსკში მორიგი ინციდენტი მოხდა. მილიციის იზოლატორში გარდაიცვალა დაკავებული, ავტოპარკის მძღოლი. შესაძლებელია, რომ სიკვდილი მართლაც შემთხვევითი იყო, ხომ შეიძლება ადამიანი ქუჩაშიც კი მოკვდეს, მაგრამ ქალაქში ხმები დაირხა: მილიციაში მოკლესო. თითქმის მთელი ქალაქი გამოვიდა ქუჩაში. მე-5 სამმართველოს თანამშრომელი პოლკოვნიკი იტცუპაკი დაუყოვნებლივ გაიგზავნა რუბცოვსკში.

ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბა ათობით ათასი მოქალაქე, რომელთაც აქეზებდნენ უკიდურესი შეხედულებების აქტივისტი ორატორები. ცუპაკი ბრბოს შუაგულში შევიდა და მეგაფონში ჩასძახა, რომ იგი ჩამოვიდა მოსკოვიდან. ამის დასადასტურებლად ხალხის მასაში გადაისროლა თავისი სამსახურებრივი მოწმობა.

ვიღაცა შეეცადა მოესმინა მისთვის, სხვებმა ყვირილი დაიწყეს, ის იტყუებაო. მდგომარეობა იძაბებოდა. უცებ ფიცარნაგზე ერთი კაცი ახტა, აღმართა ცუპაკის მოწმობა და დაიძახა:

– ეს კაცი არ ცრუობს! მისი მოწმობა ნამდვილია, იგი ანდროპოვმა გამოგზავნა.

და ცუპაკს საზეიმოდ გადასცა მისი მოწმობა.

ამის შემდეგ გადაწყდა ამოერჩიათ წარმომადგენლობა, რათა მათ წერილობით გამოეხატათ საზოგადოების თხოვნა და პრეტენზიები, ხოლო ცუპაკმა ეს ყველაფერი მოსკოვის ყურამდე მიიტანა. მოედანზე შეკრებილები დამშვიდდნენ და დაიშალნენ.

ბუნებრივია იკითხოს კაცმა: „არის კი ეს ყველაფერი სუკის საქმე!“ ალბათ, არა, მაგრამ ხალხმა ხომ ყურად იღო ჩვენი თანამშრომლის თხოვნა, რომელიც არ შეუშინდა პასუხისმგებლობას და შეაჩერა აღგზნებული ბრბო. აქვე მინდა დავამატო: იმ დროს, როდესაც ამგვარი უწესრიგობები ხდებოდა, ხალხი ეძებდა დამცველს სუკ-ის სახით. მე არ ვაპირებ იმის თქმას, რომ უშიშროების ორგანოები უმწიკვლონი იყვნენ, მაგრამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხალხმა სუკ-ს უფრო მეტი ნდობა გამოუცხადა.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ანდროპოვის დროს, უწესრიგობებს მხოლოდ ერთხელ დასჭირდა არმიის ხელი და არასდროს არ ყოფილა თუნდაც ერთი ადამიანის სიკვდილის ფაქტი.

სუკ-ის პოზიციის სისწორეზე ისიც მეტყველებს, რომ არსებობს ამგვარი ფაქტებიც: სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მოსკოვში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის დემონსტრაცია გაიმართა, რომელთა ძირითადი ლოზუნგები იყო: „რელიგიის თავისუფლება“ (ბაპტისტების მოთხოვნები), „ებრაელთა საზღვარგარეთ გასვლის თავისუფლება“, „არ დავუბრუნდეთ სტალინიზმს!“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მიმდინარეობს სახალხო ყრილობისათვის მზადება

25–26 ივლისს დაგეგმილ სახალხო ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისში ჩატარდება, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს წარმომადგენლები, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ატარებენ მოსამზადებელ სამუშაოებს.

„იფრინდა“-ს კორესპონდენტისათვის ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ხელმძღვანელობისაგან ცნობილი გახდა, რომ უკვე შექმნილია ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი ფრაქციის წევრის ბ.კაკუბავას თავმჯდომარეობით. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები, ამ რეგიონების ყველა პოლიტიკური პარტია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი და მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები.

წყაროს ცნობით, ყრილობა განიხილავს აფხაზეთში არსებულ მდგომარეობას და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებს. ყრილობა ღია იქნება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მისი ფართოდ გაშუქების შესაძლებლობა ექნებათ. (იფრინდა)



# მკვლელების სექტის ისტორიიდან

*მკითხველს ვთავაზობთ თარგმანს არკონ დაროლის წიგნიდან „საიდუმლო საზოგადოებათა ისტორია“, რომელიც ასასინ ისმაილიტთა სექტას ეძღვნება. სიტყვა „ასასინი“, რომელიც ძალიან ცოტასეუბნება მკითხველს, ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ზოგიერთ დასავლეთევროპულ ენაში (კერძოდ, ფრანგული, ინგლისური, იტალიური) „მკვლელის“ მნიშვნელობით შევიდა – იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ჯვაროსან რაინდებზე ამ სექტამ. არკონ დაროლის ისტორიული ნარკვევი არა მარტო და არა იმდენად თავისი მძაფრსიუჟეტიანობით არის საინტერესო, რამდენადაც აქტუალურობით: მისი წაკითხვის შემდეგ მკითხველი უკეთესად გაიცნობიერებს ტერორიზმის ზოგიერთ ფესვებს – ექსტრემისტული ჯგუფების შექმნა, ფანატიკოსთა და ტერორისტთა მომზადება კაცობრიობის მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე (იქნებოდნენ ეს ტამპლიერები, ინკვიზიცია, კამიკაძეები, სოციალ-დემოკრატები თუ ანარქისტები) იმ პრინციპების და დებულებების, გზების და ხერხების მიხედვით ხდებოდა, რომელნიც სათავეებს იღებენ ასასინ (მკვლელ) ისმაილიტთა სექტებიდან და გაუმჯობესებული სახით ჰასან იბნ საბაჰის „არწივის ბუდის“ (ეს ის ციხე-სიმაგრეა, რომელიც ზოგიერთ რუსთველოლოგ მკვლევართა აზრით ქაჯეთის ციხედ არის მოხსენიებული „ვეფხისტყაოსანში“) ათასწლოვანი დიდების საფუძველს წარმოადგენდნენ.*

*დაეცა პირველი, მეორე და მესამე რომიც. მსოფლიოში კი აჩრდილი დადის, აჩრდილი ტერორიზმისა, რომლის ტალღამაც უკანასკნელ წლებში თითქმის წალეკა მსოფლიო. ახლო და შუა აღმოსავლეთში, რუსეთში თუ ირლანდიაში, ალბანეთში თუ იტალიაში მიმდინარე დღევანდელი პროცესების სხვაგვარად შეფასება წარმოუდგენელია.*

## „მთიელი მოხუცი“

1092 წელს სპარსეთის იმპერიის მაღალ მთებში განლაგებული ციხე-სიმაგრის „არწივის ბუდის“ ქონგურებზე სულთანის ემისარი საუბრობდა იდუმალებით მოცულ პირთან – რომელიც თავის თავს დედამიწაზე ღმერთის განსახიერებად თვლიდა. ჰასან-იბნ საბაჰმა, მთების მეუფემ და ასასინების მეთაურმა, წარმოთქვა: „ხედავ მართლმორწმუნეს, რომელიც აი, იმ კოშკის თავზე დგას? უყურე!“ მან ნიშანი მისცა. იმავე წამს თეთრებში ჩაცმულმა ფიგურამ მისალმების ნიშნად ხელები ზევით აღაპყრო და გადაეშვა ქვევით – იქ, სადაც მრავალასმეტრიან უფსკრულში მთის მდინარე დუღდა;

– სამოცდაათიათასი კაცი მთელს აზიაში – ქალები და კაცები მზად არიან შეასრულონ ჩემი ნებისმიერი ბრძანება. ყავს კი შენს მბრძანებელს – მელიქ შაჰს ამდენი ერთგული ადამიანი? და იგი ჩემგან მორჩილებას ითხოვს! შენ ნახე ჩემი პასუხი. დამტოვე!

ხომ ჰგავს სცენას საშუალო დონის საშინელებათა ფილმიდან? ჰგავს, მაგრამ ეს ისტორიული ფაქტია. იმ დროის ჟამთაღმწერელმა მხოლოდ ერთი პატარა ხუმრობის უფლება მისცა თავს, დაწერა რა, რომ „მართლმორწმუნენი“ ჰასანს „მხოლოდ ორმოციოდე ათასი ჰყავდა“. ამბავი, თუ როგორ შესძლო ამ კაცმა მოეპოვებინა ესოდენ საშინელი ძალაუფლება და რატომ ნერგავდნენ მისი ფანატიკოსები ყოველი ადამიანის სულში კასპიის ზღვიდან ნილოსამდე პანიკურ შიშს – ყველაზე გასაოცარი ნაწილია საიდუმლო საზოგადოებათა ისტორიიდან.

ისევე როგორც სხვა საიდუმლო საზოგადოებები, ასასინების სექტაც ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ამიტომ საჭიროა პატარა ისტორიული ექსკურსის გაკეთება და იმ ორგანიზაციების მიზნების და მეთოდების გარკვევა, რომელნიც მას წინ უსწრებდნენ.

VII საუკუნეში ისლამური სამყარო ორ ბანაკად გაიხლიჩა: ორთოდოქსალურ მუსულმანებად (სუნიტები), რომელნიც მოჰამედს ღვთიური ნების განმცხადებლად თვლიდნენ და შიიტებად, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ მოჰამედის მოსწავლე და მეოთხე იმამი (ბელადი) ალი (ალი იბნ აბი ტალიბი (600–661) – მოჰამედის ბიძაშვილი, სიძე და ერთ-ერთი პირველი მიმდევარი) გაცილებით მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს. ჩვენი მოთხრობა სწორედ შიიტებს შეეხება.

შიიტებმა ადრეული ისლამის პერიოდში მომხდარი განხეთქილების შემდეგ გადარჩენისათვის ბრძოლისათვის დაიწყეს დიდი მნიშვნელობის მინიჭება: გასაიდუმლოებისათვის, ორგანიზებულობისა და ზიარების რიტუალებისათვის. ისინი უმცირესობაში იყვნენ, მაგრამ თვლიდნენ, რომ შეძლებდნენ უმრავლესობის (სუნიტების) დამარცხებას ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მთელი მსოფლიოს დამორჩილებას) ორგანიზაციის სიძლიერის და ცენტრალიზაციის საშუალებით. ამ მიზნის მისაღწევად მათ დაიწყეს სხვადასხვა საზოგადოებათა დაარსება, რომელთა წევრები აღმერთებდნენ ალის თავიანთ რიტუალებში და სწავლობდნენ ბრძოლას ყველაზე მთავარი მიზნისათვის – ბატონობისათვის მსოფლიოში.

შიიტთა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საიდუმლო საზოგადოება არსებობდა კაიროში, „ზიარებულთა სავანეს“ ირგვლივ, რომელიც წარმოადგენდა ფანატიკოსთა მომზადების ადგილს. მათ ყველანაირი მეთოდებით უნერგავდნენ, რომ ისინი განსაკუთრებული, ღვთიური მისიის შესასრულებლად არიან შექმნილნი. ასეთი ფანატიკოსების აღსაზრდელად საჭირო იყო ისლამის თავდაპირველი დემოკრატიული იდეების გარდაქმნა, და იმ დროის ეგვიპტის მმართველმა ხალიფმა, ფატიმიდების (ფატიმიდები – არაბი ხალიფების დინასტია (909–1171), რომელთა ოფიციალურ იდეოლოგიას ისმაილისტური ინტერპრეტაციის შიიზმი წარმოადგენდა. პრეტენზია ჰქონდათ მეოთხე იმამის ალისა და მოჰამედის ქალიშვილის ფატიმასაგან თავიანთი გვარის წარმომავლობაზე. 973 წელს დააარსეს კაირო და გადააქციეს თავიანთ დედაქალაქად) დინასტიიდან ამ ამოცანის გადაჭრა ყველაზე განათლებულ აღმზრდელებს დაავალა. ნეოფიტებს აღუთქვეს, რომ მათ მიეცემათ საიდუმლო ძალაუფლება და უმაღლესი სიბრძნე. ისინი გახდებიან ისეთივე ძალაუფლების მატარებლები, როგორნიც მათი მასწავლებლები არიან. ხალიფმა იზრუნა იმაზე, რომ ეს მასწავლებლები უბრალო ხალხი არ ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი უზენაესი მოსამართლე იყო, მეორე მთავარსარდალი, მესამე – ვეზირი. კანდიდატთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა – ამ სახის პრობლემა არ იჭრება იქ, სადაც მასწავლებელთა როლში ყველაზე მაღალჩინოსანი თანამდებობის პირები გამოდიან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ებ დეკლარაციას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშების ფორმებს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ აპრილამდე წარუდგენენ:

ა. რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ იბეგრება საქართველოში არსებული გადახდის წყაროს მიხედვით;

ბ. რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც ფულადი სახსრები აქვთ უცხოეთის ბანკებში;

გ. რეზიდენტი იურიდიული პირები;

დ. არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და რომლებიც არ იბეგრებიან გადახდის წყაროს მიხედვით.

2. გადასახადის გადამხდელი საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ.

3. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში.

4. ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით.

5. საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ გადასახადის გადამხდელს, რომელიც იღებს ამ კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ", „დ" და „ე" პუნქტებით განსაზღვრულ შემოსავლებს და იბეგრება გადახდის წყაროსთან, უფლება აქვს წარადგინოს დეკლარაცია დაკავებული გადასახადის დაბრუნების მოთხოვნით. დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადებში (ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების პირობების გათვალისწინებით). ასეთი გადასახადის გადამხდელი იბეგრება იმავე წესით, როგორითაც დაიბეგრებოდა ეს შემოსავალი, იგი დაკავშირებული რომ ყოფილიყო გადასახადის გადამხდელის საქართველოში არსებულ მუდმივ დაწესებულებასთან. ასეთ შემოსავალთან დაკავშირებული გადასახადის გადამხდელის ხარჯები გამოიქვითება მუდმივი დაწესებულებისათვის დადგენილი წესით, მაგრამ გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის 64-ე მუხლით განსაზღვრულ გადახდის წყაროსთან აუცილებლად გამოსაქვით თანხას.

### მუხლი 88-
### გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი

1. გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავება ევალებათ საგადასახადო აგენტებს, კერძოდ:

ა. მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც უხდის საზღაურს თავის ინდივიდუალურ საწარმოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს;

ბ. იურიდიულ პირს, რომელიც უხდის საზღაურს დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს;

გ. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უხდის პირს პენსიას, გარდა იმ პენსიებისა, რომლებიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;

დ. რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც უხდის დივიდენდებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

ე. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უხდის პროცენტებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

ვ. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც იხდის ამ კოდექსის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ გადასახდელებს.

2. პასუხისმგებლობა გადასახადების დაკავებისა და მათი ბიუჯეტში გადარიცხვისათვის ეკისრება შემოსავლის გადამხდელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა და მასთან დაკავშირებული ჯარიმები და საურავი.

3. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ახდენს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას, ვალდებულია:

ა. ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის თანხის გადახდისთანავე;

ბ. ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნისამებრ მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით;

გ. საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს, აგრეთვე ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათი მოთხოვნისამებრ, გაუგზავნოს ცნობა ამ პირის სარეგისტრაციო ნომრის, მისი დასახელების ან გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო წლისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით.

4. არაძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული შემოსავლიდან დამქირავებელი აკავებს საშემოსავლო გადასახადს ამ კოდექსის 42-ე მუხლით განსაზღვრული უმაღლესი განაკვეთით.

### მუხლი 89
### გადასახადის მიმდინარე გადასახდელები

1. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, ვალდებულნი არიან შეიტანონ ბიუჯეტში მიმდინარე გადასახდელების თანხები ყოველკვარტალურად არა უგვიანეს გასული კვარტალის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა, წინა საგადასახადო წლის წლიური გადასახადიდან 25 პროცენტის ოდენობით.

2. მიმდინარე გადასახდელთა ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები გადასახადის გადამხდელს ჩაეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.

# კარი III
# დამატებული ღირებულების გადასახადი
## თავი 11
## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 90
### დამატებული ღირებულების გადასახადის ცნება

დამატებული ღირებულების გადასახადი (შემდგომში - დღგ), როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დღგ ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე. დასაბეგრ ბრუნვაზე გადასახდელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ ბრუნვაზე დარიცხულ გადასახადის თანხასა და ამ კარის მიხედვით წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით ჩასათვლელ თანხას შორის.

### მუხლი 91
### გადასახადის გადამხდელები

1. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად.

2. პირი, რომელიც რეგისტრაციაში ტარდება, გადასახადის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტიდან. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული, მაგრამ ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში, გადასახადის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციაში გატარების ვალდებულების წარმოშობის პერიოდის მომდევნო საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან.

3. პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, ითვლება დღგ-ის გადამხდელად ამგვარ იმპორტზე.

4. არარეზიდენტი პირი, რომელიც ეწევა მომსახურებას ან ასრულებს სამუშაოებს და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე ექვემდებარება უკუდაბეგვრას ამ კოდექსის 108-ე მუხლის მიხედვით, ითვლება გადასახადის გადამხდელად ამგვარი სამუშაოებისა და მომსახურებისათვის.



5. ამ კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტში აღნიშნული იურიდიული პირების ფილიალები, განყოფილებები და სხვა ქვედანაყოფები ამ კარის მიზნებისათვის არიან დამოუკიდებელი პირები. ისინი ვალდებულნი არიან გატარდნენ რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელებად, თუ მათი საერთო დასაბეგრი ბრუნვა აღემატება ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ თანხას.

### მუხლი 92
### სავალდებულო რეგისტრაცია

1. პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ახორციელებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, რომელთა საერთო თანხა აღემატება 3000 ლარს, ვალდებულია ამ მომენტის დადგომიდან მომდევნო თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებისათვის.

2. თუ მიმდინარე საანგარიშო პერიოდისათვის დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის მოსალოდნელი თანხა აღემატება 3000 ლარს, მაშინ დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია წარმოებს საგადასახადო ორგანოებში ამ პირის სხვა გადასახადების გადამხდელად რეგისტრაციაში გატარებასთან ერთად.

3. დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას მის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განხორციელებულია საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

### მუხლი 93
### ნებაყოფლობითი რეგისტრაცია

პირს, რომელიც არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში, შეუძლია ნებაყოფლობით განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

### მუხლი.94
### რეგისტრაცია

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ფორმის განცხადებით.

2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირი გაატაროს დღგ-ის რეესტრში და მისცეს მას სარეგისტრაციო სერტიფიკატი განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა, გადამხდელის დასახელების, სახელის, გვარისა და სხვა სათანადო მონაცემების, რეგისტრაციის ძალაში შესვლის თარიღისა და გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის ჩვენებით. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანომ პირი არ გაატარა რეგისტრაციში ან არ მისცა მას წერილობით მოტივირებული უარი, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. რეგისტრაცია ძალაში შედის:

ა. პირის სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაში - რეგისტრაციისათვის მიმართვის ვალდებულების წარმოშობის საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;

ბ. პირის ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შემთხვევაში - რეგისტრაციისათვის მიმართვის პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან ან უფრო ადრეული თარიღიდან გადასახადის გადამხდელის შეხედულებისამებრ.

4. საგადასახადო ორგანო ვალდებულია შეინახოს დღგ-ის რეესტრი ყველა მონაცემითურთ დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებულ პირთა შესახებ.

5. თუ პირი ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, მაგრამ არა აქვს შეტანილი განცხადება რეგისტრაციისათვის, საგადასახადო ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს ამ პირის რეგისტრაციას გადასახადის გადამხდელად და გადასცემს მას შესაბამის სერტიფიკატს.

6. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი ყველა ანგარიშ-ფაქტურაში და საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ ყველა დეკლარაციასა და ოფიციალურ შეტყობინებაში.



### მუხლი 95
### რეგისტრაციის გაუქმება

1. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების შეწყვეტის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მიმართოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

2. გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, თუ ბოლო 12 თვის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ოპერაციები არ აღემატება 3000-ლარიან ლიმიტს.

3. რეგისტრაციის გაუქმება ძალაში შედის იმ დღიდან, როცა გადასახადის გადამხდელმა შეწყვიტა დასაბეგრი ოპერაციები, ან ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში - იმ დროისათვის, როცა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს რეგისტრაციის გაუქმებისათვის.

4. პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისას საგადასახადო ორგანო ვალდებულია დღგ-ის გადამხდელთა რეესტრიდან ამოიღოს პირის დასახელება, სახელი, გვარი და სხვა მონაცემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი 12
## დაბეგვრის ობიექტი

### მუხლი 96
### დაბეგვრის ობიექტი

1. დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი.

2. დასაბეგრი ოპერაციებია პირის მიერ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, მათ შორის უსასყიდლოდ, თუ ისინი ითვლება განხორციელებულად საქართველოს ტერიტორიაზე ამ კოდექსის 106-ე ან 107-ე მუხლების მიხედვით, ამ კარის შესაბამისად განთავისუფლებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდების გარდა. დასაბეგრ ოპერაციებს არ განეკუთვნება ამ კოდექსის 107-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება.

3. დასაბეგრ იმპორტად ითვლება საქონლის იმპორტი, გარდა იმ საქონლის იმპორტისა, რომელიც განთავისუფლებულია გადასახადისაგან ამ კარის მიხედვით.

4. თუ დღგ-ის გადამხდელმა შეიძინა საქონელი (სამუშაო, მომსახურება) დღგ-ის გადახდით და მიიღო (ან უფლება აქვს მიიღოს) შესაბამისი ჩათვლა, არაეკონომიკური საქმიანობისათვის ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების შედეგების) გამოყენება ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

5. გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა თავისი თანამშრომლებისათვის საფასურით ან მის გარეშე, ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

6. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის დღისათვის გადასახადის გადამხდელთან არსებული საქონლის ნაშთები, იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისას არსებული უძრავი ქონების გარდა, განიხილება როგორც აღნიშნული მომენტისათვის განხორციელებული დასაბეგრი მიწოდება.

7. საქონლის მიწოდება იმ პირის მიერ, რომელმაც ეს საქონელი შეიძინა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის შედეგად და რომელსაც არ ჰქონდა დღგ-ის ჩათვლის უფლება, ამ კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით, არ განიხილება როგორც დასაბეგრი ოპერაცია. თუ საქონლის შეძენისას ჩათვლა განხორციელდა ნაწილობრივ, დასაბეგრი ოპერაციის თანხა მცირდება ჩაუთვლელი თანხის პროპორციულად.

8. დასაბრუნებელი ტარის ღირებულება გადასახადით დასაბეგრ თანხაში არ შეიტანება. თუ დასაბრუნებელი ტარა საქონლის მიწოდებიდან 90 დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, იგი ჩაითვლება რეალიზებულად და იბეგრება დადგენილი წესით.

9. საქონლის გადაცემა, მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება იურიდიული პირის ფილიალებს ან სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც ითვლებიან ცალკე გადასახადის გადამხდელებად, განიხილება როგორც დასაბეგრი ოპერაცია.

### მუხლი 97
### საწარმოს მიწოდება

1. გადასახადის გადამხდელის მიერ საწარმოს ან მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ნაწილის მიწოდება მეორე გადამხდელისათვის არ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

2. მიწოდებულ საწარმოსთან ან საწარმოს ნაწილთან დაკავშირებით მიმღები თავის თავზე იღებს მიმწოდებელი მხარის ამ კარში აღნიშნულ უფლებებსა და მოვალეობებს.

3. ეს მუხლი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდების მომენტიდან 10 დღის განმავლობაში წერილობით აცნობებენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ.

## თავი 13
## დასაბეგრი ბრუნვისა და დასაბეგრი იმპორტის განსაზღვრა

### მუხლი 98
### დასაბეგრი ოპერაციის თანხა

1. დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიმღებისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

2. თუ დღგ-ის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს საქონელი, სამუშაო ან მომსახურება, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

3. თუ გადასახადის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ არ იღებს ან არა აქვს უფლება მიიღოს საქონელი, სამუშაო, მომსახურება ან კომპენსაციის თანხა (რეგისტრაციის გაუქმებისას მასთან არსებული საქონლის ნაშთების ჩათვლით), მაშინ დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება მიწოდებული საქონლის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

4. თუ საქონელი (სამუშაო ან მომსახურება) გამოიყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ან გადასახადის გადამხდელი მიაწოდებს მას თავის თანამშრომლებს ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მაშინ დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

### მუხლი 99
### დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება

1. ეს მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ:

ა. გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია;

ბ. შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;

გ. ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა;

დ. საქონელი (სამუშაო, მომსახურება) სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი ერთ-ერთი პირობის დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება ამ კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის ან 114-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ გადამხდელმა:

ა. წარადგინა დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა აღნიშნულია არასწორად;

ბ. დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად აღნიშნა დღგ-ის თანხა.

### მუხლი 100
### დასაბეგრი იმპორტის თანხა

1. დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, დღგ-ის ჩაუთვლელად.

2. მომსახურების ღირებულება, რომელიც ამ კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით განიხილება როგორც საქონლის იმპორტის ნაწილი, შეიტანება დასაბეგრი იმპორტის თანხაში დღგ-ის გარეშე.

## თავი 14
## საგადასახადო შეღავათები

### მუხლი 101
### გადასახადისაგან განთავისუფლება

1. დღგ-ისაგან განთავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, აგრეთვე იმპორტის შემდეგი სახეები:

ა. ფინანსური მომსახურების გაწევა;

ბ. ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდის მიწოდება ანდა იმპორტი;

გ. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

დ. საფოსტო მარკების (გარდა საკოლექციოსი) მიწოდება ანდა იმპორტი;

ე. ჩამორთმეული, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა მიწოდება ანდა იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

ვ. სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ზ. ფიზიკური პირების მიერ სხვა არამეწარმე ფიზიკური პირებისათვის საცხოვრებელი შენობების მიწოდება და იჯარით გადაცემა; აგრეთვე ბინის ქირა;

თ. სამედიცინო მომსახურება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ი. ავადმყოფთა, ინვალიდთა და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

კ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 30-ე თავით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის ვაქცინების მიწოდება ანდა იმპორტი;

ლ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000, 8423 10, 9001 30 000, 9001 40, 9001 50, 9018-იდან 9022-ის ჩათვლით, 9025 11 910, 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713, 8714 20 000 კოდებში აღნიშნული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის მიწოდება ანდა იმპორტი;

მ. დიაბეტური კვების იმ პროდუქტების მიწოდება ანდა იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად;

ნ. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ანდა იმპორტი;

ო. წრეებში, სექციებში, სტუდიებში ბავშვებისა და მოზარდების სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებსა და უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

პ. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის მიწოდება ანდა იმპორტი;

ჟ. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება;

რ. თეატრალური და საცირკო წარმოდგენების, აგრეთვე მუზეუმების ბილეთების მიწოდება;

ს. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

ტ. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და გამოცემული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, მიწოდება და რეალიზაციის მომსახურება;

უ. რვეულების მიწოდება;

ფ. საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის,



რაც ამ აქტივის ღირებულება ლიკვიდირებული იურიდიული პირისათვის გადაცემამდე;

გ. აქტივის განაწილება არ წარმოადგენს დივიდენდს;

დ. მოგება და ზარალი არ მიიღება მხედველობაში ლიკვიდირებულ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაუქმებისას.

3. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფის აქტივების გადაცემა ხდება ერთდროულად.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული აქტივის შემთხვევაში მისი მიმღებისათვის აქტივის ღირებულებად ითვლება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გადაცემის მომენტისათვის, ხოლო ერთი და მეტი ასეთი აქტივის გადაცემის შემთხვევაში აქტივებს შორის ჯგუფების ღირებულებითი ბალანსი ნაწილდება გადაცემის მომენტისათვის მათი საბაზრო ღირებულების პროპორციულად.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ დამტკიცდა, რომ სრული ლიკვიდაციის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს გადასახადებისაგან თავის არიდება.

### მუხლი 84
### პარტნიორის წილის სანაცვლოდ გადაცემული აქტივების ღირებულების განსაზღვრის წესი

1. გადაცემული აქტივების რეალიზაცია არ განიხილება აქტივების მიწოდებად, თუ:

ა. ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი აქტივებს მიაწოდებს (დავალიანებით ან მის გარეშე) იურიდიულ პირს მასში თავისი წილის სანაცვლოდ;

ბ. ეს ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი ასეთი გაცვლის შემდეგ უშუალოდ ფლობს ამ იურიდიულ პირში წილის 50 ან მეტ პროცენტს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქტივის ღირებულება მისი მიმღებისათვის ტოლია ამ აქტივის ღირებულებისა მიწოდების მომენტში მიმწოდებელი მხარისათვის.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი გაცვლის შედეგად მიღებული პარტნიორის წილის ღირებულება ტოლია გადაცემული აქტივის ან აქტივების ღირებულებისა, გადაცემული დავალიანების გამოკლებით.

4. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივზე, რომელიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ჯგუფურ ამორტიზაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემა ხდება ერთდროულად.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული აქტივის შემთხვევაში:

ა. მისი მიმღები აქტივის ღირებულებად იღებს გადაცემის მომენტში ჯგუფის ღირებულებით ბალანსს, ხოლო, თუ გადაეცემა ერთზე მეტი ასეთი აქტივი, ჯგუფების ღირებულებითი ბალანსი აქტივებს შორის ნაწილდება გადაცემის მომენტისათვის მათი საბაზრო ფასის პროპორციულად, და

ბ. გადამცემი მხარე სანაცვლოდ მიღებული პარტნიორის წილის ღირებულებად იღებს ჯგუფის ღირებულებით ბალანსს გადაცემის მომენტისათვის.

6. ეს მუხლი არ ვრცელდება აქტივების გადამცემზე, თუ მის მიერ გადაცემული დავალიანება აღემატება მის მიერვე გადაცემული აქტივების ღირებულებას.

### მუხლი 85
### იურიდიული პირის რეორგანიზაცია

1. რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარე იურიდიული პირის ან იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებული ქონებისა და წილის ღირებულება ტოლია ასეთი ქონებისა და წილის ღირებულებისა რეორგანიზაციის განხორციელების წინ.

2. ქონების ან წილის გადაცემა იმ იურიდიულ პირებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარეებს, არ ითვლება ქონების რეალიზაციად.

3. რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარე რეზიდენტ იურიდიულ პირში წილის ნებისმიერი გაცვლა წილზე სხვა მსგავს იურიდიულ პირში, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მოცემული ოპერაციის მხარეს, არ ითვლება წილის რეალიზაციად.

4. წილთა ღირებულება, რომელთა გაცვლაც ხდება ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ტოლია წილთა თავდაპირველი ღირებულებისა.

5. წილთა განაწილება იმ იურიდიულ პირში, რომელიც რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარეა, რაც წარმოშობს მსგავს უფლებას სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ ოპერაციების მხარეა, არ წარმოადგენს დივიდენდს.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული თავდაპირველი წილის ღირებულება ექვემდებარება გასანაწილებელ წილზე მიკუთვნებას იმ კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც განისაზღვრება როგორც თანაფარდობა გასანაწილებელი წილის ღირებულებასა და თავდაპირველი წილის ღირებულებას შორის განაწილების შემდეგ.

7. იმ პირობით, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ მტკიცდება, რომ შერწყმის, შეძენის, მიერთების ან გაყოფის ოპერაციებს არა აქვს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზანი, რეორგანიზაცია მოიცავს:

ა. ორი ან მეტი რეზიდენტი იურიდიული პირის შერწყმას;

ბ. ხმის უფლების მქონე 50 ან მეტი პროცენტის წილისა და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 ან მეტი პროცენტის შეძენას ან მიერთებას მხოლოდ შეძენისა ან მიერთების ოპერაციაში პარტნიორ მხარეთა მსგავსი უფლებებით წილის სანაცვლოდ;

გ. რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 და მეტი პროცენტის შეძენას სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის სანაცვლოდ, დივიდენდებთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე;

დ. რეზიდენტი იურიდიული პირის გაყოფას ორ ან მეტ რეზიდენტ იურიდიულ პირად.

8. რეორგანიზაციის ოპერაციის მხარედ მიიჩნევა რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ არის ჩართული რეორგანიზაციის ოპერაციაში, და რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც უშუალოდ ფლობს ან ეკუთვნის მოცემულ ოპერაციაში პირდაპირ ჩართულ რეზიდენტ იურიდიულ პირს.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილის მიზნებისათვის იურიდიულ პირზე საკუთრების უფლება ნიშნავს ამ იურიდიულ პირში ხმის უფლების მქონე წილის 50 ან მეტი პროცენტისა და ყველა სხვა წილის ღირებულების 50 ან მეტი პროცენტის ფლობას.

10. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება ჯგუფის ყველა ელემენტის ერთდროული გადაცემა.

11. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება მე-10 ნაწილში აღნიშნულ აქტივებზე, თუ:

ა. აქტივების მიმღები აქტივის ღირებულებად იღებს გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ხდება ერთზე მეტი ასეთი აქტივის გადაცემა, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნაწილდება აქტივებს შორის გადაცემის მომენტისათვის მათი საბაზრო ფასის პროპორციულად;

ბ. აქტივების გადამცემ მხარეს მიღებული წილის ღირებულებაში შეაქვს ჯგუფის საბალანსო ღირებულება გადაცემის მომენტისათვის.

### მუხლი 86
### ზარალის გადატანისა და გამოქვითვის შეზღუდვა იურიდიულ პირში წილთა ფლობის ცვლილებისას

თუ წინა წელთან შედარებით იურიდიულ პირში იცვლებიან 50 პროცენტი ან მეტი ხმის უფლებიანი წილის მქონე პარტნიორები, მაშინ უქმდება ზარალის, გამოქვითვისა და კრედიტების შემდგომ პერიოდში გადატანის შესაძლებლობა იმ საგადასახადო წლის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა ეს ცვლილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცვლილების მომდევნო სამი წლის განმავლობაში იურიდიული პირი აგრძელებს იმავე სამეწარმეო საქმიანობას და იწყებს ახალ სამეწარმეო საქმიანობას საგადასახადო ორგანოებთან შეთანხმებით.

## თავი 10
## გადასახადების ადმინისტრირების წესები

### მუხლი 87
### დეკლარაციის წარდგენა

1. საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის შესახ-

### სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის წესი

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემადგენლობაში შეიტანოს თავის საკუთრებაში არსებული დამუშავებული ან ნაწილობრივ დამუშავებული საქონელი, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად, კერძოდ, ნედლეული და მასალები, რომლებიც შეძენილია შემდგომი რეალიზაციისა ან საქონლის წარმოებისათვის, სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისათვის.

2. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას საანგარიშო პერიოდის დამდეგისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ემატება ერთობლივი შემოსავლის მოცულობას, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოირიცხება ერთობლივი შემოსავლიდან.

3. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია წარმოებული ან შეძენილი საქონლის ღირებულება საგადასახადო აღრიცხვაში ასახოს ამ საქონლის წარმოებაზე დანახარჯების ან შეძენის ფასით. კერძოდ, გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის ღირებულებაში შეიტანება მისი შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები.

4. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს დეფექტური ან მოძველებული და მოდიდან გამოსული საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეუძლებელია მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებზე (შეძენის ფასზე) მეტ ფასად, შეაფასოს ამ საქონლის შესაძლო სარეალიზაციო ფასით.

5. თუ გადასახადის გადამხდელი არ ახდენს თავის საკუთრებაში არსებული საქონლის ინდივიდუალურ აღრიცხვას, მაშინ ამ საქონლის რეალიზაციისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღსარიცხავად გამოიყენოს ერთ-ერთი მეთოდი:

ა. მეთოდი Fifo, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო მარაგებს, ხოლო შემდეგ – ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მათი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით;

ბ. მეთოდი Lifo, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდის მანძილზე პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება უკანასკნელად წარმოებული (შეძენილი) საქონელი;

გ. საშუალო თვითღირებულებით შეფასების მეთოდი.

### მუხლი 78
### ლიზინგი (საფინანსო იჯარა)

1. თუ ქონების იჯარით მიმცემი (მეიჯარე) ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ლიზინგით (საფინანსო იჯარის წესით) გასცემს ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს, მაშინ დაბეგვრის მიზნით ქონების იჯარით ამღები (მოიჯარე) ითვლება ამ ქონების მფლობელად.

2. ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებათა იჯარა დაბეგვრის მიზნით წარმოადგენს ლიზინგს (საფინანსო იჯარა), თუ იგი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა. იჯარის ვადა აღემატება ძირითად საშუალებათა სამსახურის ვადის 80 პროცენტს;

ბ. მოიჯარეს აქვს ძირითად საშუალებათა ფიქსირებული ფასით ან იჯარის დამთავრებისას განსაზღვრული ფასით შეძენის უფლება;

გ. იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება იჯარის დამთავრებისას შეადგენს იჯარის დასაწყისში მათი ღირებულების 20 პროცენტზე ნაკლებს;

დ. გადასახდელების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება მთელი საიჯარო პერიოდისათვის აღემატება იჯარით აღებულ საშუალებათა ღირებულების 90 პროცენტს.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით ითვლება, რომ იჯარის პერიოდი მოიცავს პერიოდს, რომლის დროსაც მოიჯარეს უფლება აქვს გააგრძელოს ლიზინგი.

### მუხლი 79
### კომპენსირებული გამოქვითვები და რეზერვების შემცირება

1. ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და საეჭვო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა ითვლება იმ წლის შემოსავლად, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება.

2. თუ ხდება წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირება, შემცირებული თანხა შეიტანება ერთობლივ შემოსავალში.

### მუხლი 80
### მოგება და ზარალი აქტივების მიწოდებისას

1. აქტივების მიწოდებისას მიღებული მოგება წარმოადგენს დადებით სხვაობას მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის, რომელიც განისაზღვრება ამ კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად. აქტივების უსასყიდლოდ ან შემცირებული ფასით მიწოდებისას მიმწოდებელი პირის მოგება განისაზღვრება როგორც დადებითი სხვაობა. მიწოდებული ქონების საბაზრო ფასსა და ამ კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ ქონების ღირებულებას შორის.

2. აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა ამ საშუალებათა მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები არ გამოიყენება იმ აქტივების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდის მიხედვით.

### მუხლი 81
### აქტივების ღირებულება

1. აქტივების ღირებულებაში შეიტანება მათი შეძენის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები, აგრეთვე სხვა ხარჯები, რომლებიც ზრდიან მათ ღირებულებას, გარდა იმ ხარჯებისა, რომელთა მიხედვითაც გადასახადის გადამხდელს აქვს გამოქვითვის უფლება.

2. აქტივების მხოლოდ ნაწილის მიწოდების შემთხვევაში აქტივების ღირებულება მიწოდების მომენტში ნაწილდება დარჩენილ და მიწოდებულ ნაწილებს შორის.

### მუხლი 82
### მოგების ან ზარალის აუღიარებლობა

1. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას არანაირი მოგება ან ზარალი მხედველობაში არ მიიღება, თუ ხდება:

ა. აქტივების გადაცემა მეუღლეებს შორის;

ბ. აქტივების გადაცემა ყოფილ მეუღლეებს შორის განქორწინების დროს;

გ. აქტივების არანებაყოფლობითი განადგურება ან ჩამორთმევა, თუ ადგილი აქვს მისგან მიღებული შემოსავლების რეინვესტირებას მსგავსი ხასიათის აქტივში განადგურების ან ჩამორთმევის განხორციელების წლის მომდევნო ორი წლის დასრულებამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტში აღნიშნული შესაცვლელი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შემცვლელი აქტივის ღირებულების გათვალისწინებით განადგურების ან ჩამორთმევის მომენტისათვის.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა" ან „ბ" პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაცემული აქტივების ღირებულებას წარმოადგენს გარიგების მომენტში მოცემული აქტივის ღირებულება გადამცემი მხარისათვის.

4. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველი ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტების მიხედვით ხდება ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემა ერთდროულად.

### მუხლი 83
### ლიკვიდაცია

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის იურიდიული პირის სრული ლიკვიდაცია განიხილება როგორც მისი პარტნიორების მიერ ამ იურიდიულ პირში თავიანთი წილის გაყიდვა.

2. თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და აქტივი გადაეცემა პარტნიორ იურიდიულ პირს, ამ აქტივის ღირებულება მასში პარტნიორის წილის პროპორციულია და, თუ ეს წევრი უშუალოდ ლიკვიდაციის წინ ფლობდა 50 და მეტ პროცენტს იურიდიულ პირში, მაშინ:

ა. ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების რეალიზაციად ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ;

ბ. პარტნიორისათვის გადაცემული აქტივის ღირებულება იგივეა,



წიგნის, კალენდრისა და სხვა სარიტუალო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღორძინების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები;

ქდაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური (მათ შორის ავტოტრანსპორტით) მომსახურება;

ღ. სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისათვის გადაცემული საქონლისა და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი; სამუშაოების შესრულება კონტრაქტების საფუძველზე, რომელთაც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის აფინანსებს უცხოეთის ორგანიზაცია და რომელთა ერთ-ერთ მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო. ამ პუნქტის მიზნისათვის საქონლის იმპორტის, აგრეთვე კონტრაქტით სამუშაოების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ყ. სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიდარაიონულ მარშრუტებზე და საგარეუბნო მარშრუტებზე საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) მომსახურება;

შ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე;

ჩ. სანაშენე ცხოველების, სანაშენე პროდუქტის, სათესლე მასალის, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი შხამ-ქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით;

ც. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-ე, 85-ე და 90-ე თავებით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების, მათ შორის ენერგეტიკული და ენერგოდამზოგავი მოწყობილობის, ტექნოლოგიური ხაზების, ენერგოსაზომი და მაკონტროლებელი აპარატურის, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილების იმპორტი;

ძ. იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა, დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა; აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი.

წ. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარაშესაფუთი მასალის იმპორტი, ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. აღნიშნული ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ტარაშესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ის გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოების მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა, ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

ჭ. საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ხ. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ, ანდა საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ჯ. ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რაც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის;

ჰ. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების საკუთარი წარმოების არააქციზური პროდუქციის მიწოდება, თუ ამ საწარმოებში დასაქმებულთა შორის ინვალიდები შეადგენენ არანაკლებ 70 პროცენტს (ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებებისა და საწარმოებისათვის – არანაკლებ 50 პროცენტს).

2. დღგ-ისაგან განთავისუფლება ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა" – „ჯ" პუნქტების მიხედვით დღგ-ისაგან განთავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნით საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს ან, თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას განთავისუფლების პირობების დარღვევის გამო, დღგ-ის მიმართაც გამოიყენება იგივე რეჟიმი.

## თავი 15
## ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები

### მუხლი 102
### საქონლის ექსპორტის დაბეგვრა

საქონლის ექსპორტი, აგრეთვე ხორბლის იმპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

### მუხლი 103
### საერთაშორისო და სატრანზიტო გადაზიდვების დაბეგვრა

1. საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებთან ან მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანასთან უშუალოდ დაკავშირებული სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება, ისევე როგორც საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე სამუშაოების ბორტზე მიწოდება საერთაშორისო ფრენის განსახორციელებლად, იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

2. 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჭ" პუნქტში აღნიშნული ტრანზიტული საქონლის ტრანსპორტირება და მომსახურება იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

### მუხლი 104
### საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდების დაბეგვრა

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

## თავი 16
## დასაბეგრი ოპერაციის დრო, ადგილი და სპეციალური წესები

### მუხლი 105
### დასაბეგრი ოპერაციის დრო

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული შემთხვევების გარდა, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება:

ა. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის დროიდან 90 დღე;

ბ. საქონლის მიწოდებისას, რომელსაც თან ახლავს გადატვირთვა, – საქონლის გადატვირთვიდან 90 დღე;

გ. განაღდების მომენტში, თუ განაღდება წარმოებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებიდან ან გადატვირთვიდან 90 დღის გასვლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის მოთხოვნათა გამოყენებისას, თუ დასაბეგრი ოპერაციისათვის ორ და მეტ გადახდას აქვს ადგილი, მაშინ თითოეული გადახდა განიხილება როგორც თანხის გადახდა ცალკეული ოპერაციისათვის გადახდილი თანხის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგლებში.

3. თუ მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად, მომსახურების გაწევა შესრულებულად ითვლება ამ ოპერაციის ნებისმიერი ნაწილისათვის ყოველი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის მომენტში.

4. არაეკონომიკური საქმიანობისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებისას ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენების დაწყების დრო. ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება მუშაკთათვის საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის დრო.

5. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების დროს ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით გადამხდელთან არსებული საქონლის ნაშთებისათვის მიწოდების მომენტად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის უშუალოდ წინა მომენტი.

## მუხლი 106
## საქონლის მიწოდების ადგილი

1. თუ საქონლის მიწოდება მოითხოვს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას. სხვა შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გადაცემის ადგილი.

2. ელექტრო- ან თბოენერგიის, ბუნებრივი გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის მიღების ადგილი. საქართველოდან ამ საქონლის ექსპორტის შემთხვევაში მათი მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

## მუხლი 107
## სამუშაოების შესრულების ან მომსახურების გაწევის ადგილი

1. ამ კარის მიზნით სამუშაოების შესრულების ან მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება:

ა. უძრავი ქონების ადგილმდებარეობა, თუ სამუშაოები (მომსახურება) დაკავშირებულია უშუალოდ ამ ქონებასთან;

ბ. სამუშაოს (მომსახურების) ფაქტობრივად განხორციელების ადგილი, თუ ისინი დაკავშირებულია მოძრავ ქონებასთან;

გ. მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი, თუ იგი ხორციელდება კულტურის, ხელოვნების, განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ან სხვა ანალოგიურ საქმიანობაში;

დ. საქონლის გადაზიდვების ან მგზავრთა გადაყვანის ფაქტობრივი განხორციელების ადგილი, თუ სამუშაო (მომსახურება) დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან. ამ კოდექსის 103-ე მუხლის მიზნებისათვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადამხდელის მიერ სამუშაოების შესრულებასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული;

ე. მომსახურების მიმღები მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელი, რომელთანაც ეს მომსახურება უფრო მეტადაა დაკავშირებული. ამ პუნქტის დებულებები გამოიყენება შემდეგი სახის მომსახურების მიმართ:

- პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების, საავტორო უფლებების ან სხვა ანალოგიური უფლებების საკუთრებაში გადაცემა ან დათმობა;

- საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საინჟინრო, სარეკლამო, აგრეთვე ინფორმაციის დამუშავებისა და სხვა ანალოგიური მომსახურება;

- პერსონალით უზრუნველყოფა;

- მოძრავი ქონების იჯარით გაცემა (გარდა სატრანსპორტო საწარმოთა სატრანსპორტო საშუალებებისა);

- კონტრაქტის ძირითადი მონაწილე პირის (საწარმოს ან ფიზიკური პირის) სახელით მოქმედი აგენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება;

ვ. იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის ერთზე მეტ პუნქტში აღწერილი სამუშაოების შესრულებისა თუ მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება რიგით პირველი პუნქტის მიხედვით.

## მუხლი 108
## უკუდაბეგვრა

1. თუ არარეზიდენტი პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოში, ეწევა მომსახურებას ან ასრულებს სამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საგადასახადო აგენტისათვის, აღნიშნული სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა იბეგრება ამ მუხლის მიხედვით.

2. ამ მუხლის მიხედვით საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, ან ნებისმიერი რეზიდენტი იურიდიული პირი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებისას საგადასახადო აგენტი ახდენს დღგ-ის დაკავებას არარეზიდენტისათვის გადასახდელი თანხიდან. დღგ-ის თანხა განისაზღვრება ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთების გამოყენებით არარეზიდენტისათვის მისაცემი თანხიდან დღგ-ის გარეშე.

4. თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, დაკავებული დღგ გადაიხდება დღგ-ის შესახებ იმ თვის დეკლარაციის წარდგენის დროს, რომელშიც მოხდა ოპერაცია. საგადასახადო დოკუმენტი დაკავებული დღგ-ის გადასახდელად ითვლება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურად და საგადასახადო აგენტს აძლევს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლებას ამ კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით.

5. თუ საგადასახადო აგენტი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, იგი ვალდებულია დაკავებული დღგ გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი წესით არარეზიდენტისათვის თანხის გაცემიდან 7 დღის განმავლობაში.

## მუხლი 109
## იმპორტის დრო

საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი იბეგრება საბაჟო გადასახადით საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. თუ საქონელი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა მასზე უნდა გადახდილიყო საბაჟო გადასახადი, ეს საქონელი განთავისუფლებული რომ არ ყოფილიყო საბაჟო გადასახადისაგან.

## მუხლი 110
## შერეული ოპერაციები

1. საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომლებიც ატარებს ძირითადი საქონლის მიწოდების, სამუშაოების შესრულებისა თუ მომსახურების გაწევის მიმართ დამხმარე ხასიათს, განიხილება როგორც ამ უკანასკნელის ნაწილი.

2. სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელთაც დამხმარე ხასიათი აქვთ საქონლის იმპორტის მიმართ, წარმოადგენენ ამ საქონლის იმპორტის ნაწილს.

3. დასაბეგრი ოპერაციის ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც განთავისუფლებული იქნებოდა დღგ-ისაგან, ცალკე რომ ყოფილიყო მიწოდებული, შესრულებული ან გაწეული, განიხილება როგორც ცალკე ოპერაცია. განთავისუფლებული ოპერაციის ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც დაიბეგრებოდა დღგ-ით, ცალკე რომ ყოფილიყო მიწოდებული, შესრულებული ან გაწეული, განიხილება როგორც ცალკე ოპერაცია.

## მუხლი 111
## აგენტის ოპერაციები

1. საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა იმ პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს სხვა პირის (მრწმუნებლის) აგენტს (რწმუნებულს), განიხილება როგორც მრწმუნებლის ოპერაციები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ეხება აგენტის (რწმუნებულის) მიერ მრწმუნებელი პირისათვის გაწეულ მომსახურებას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ გამოიყენება საქართველოში არარეზიდენტი პირის მიერ აგენტის მეშვეობით საქონლის მიწოდების მიმართ, როცა ეს პირი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოში. ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის მი[...] მიწოდება ითვლება აგენტის (რწმუნებულის) მიერ განხორციელებულად.

**გაგრძელება იქნება**



## მუხლი 70
## საკასო მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი

1. ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ნაღდი ფულადი სახსრების მიღების მომენტი, ხოლო უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას – ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვაც მას შეუძლია, ან რომლიდანაც უფლება აქვს მიიღოს ეს სახსრები.

2. გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

3. თუ გადასახადის გადამხდელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით თავისი დებიტორისაგან იღებს თამასუქს (ან სხვა სავალო ვალდებულებას), მაშინ შემოსავლის მიღების მომენტად ითვლება თამასუქის (სავალო ვალდებულების) მიღებიდან უახლოესი მომენტი, როცა შესაძლებელი იქნება თამასუქის (სავალო ვალდებულების) წარდგენა გასანაღდებლად.

## მუხლი 71
## საკასო მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი

1. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივი გაწევის მომენტი, გარდა ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თუ გადასახადის გადამხდელი ნაღდი ფულით იხდის, მაშინ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ნაღდი ფულის გადახდის მომენტი, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორებისას – ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელისაგან ფულადი სახსრების გადარიცხვაზე დავალების მიღების მომენტი.

3. გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, სახელდობრ, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

4. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს შემოსავალს ან ეწევა ხარჯებს არაფულადი ფორმით, მაშინ ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იმ წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტი.

5. სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებულ გადასახდელებთან მიმართებით, თუ სავალო ვალდებულება ან იჯარის ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, წარმოადგენს პროცენტის (იჯარის) იმ თანხას, რომელიც გამოიანგარიშება თანაბარწილად თითოეული საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

## მუხლი 72
## შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას შემოსავლები და ხარჯები აისახება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლებზე უფლების მოპოვების ან ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტის მიუხედავად.

## მუხლი 73
## დარიცხვის მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი

1. გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას, ან, თუ მან შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

2. თუ გადასახადის გადამხდელი ასრულებს სამუშაოს (ეწევა მომსახურებას), ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული უფლება ითვლება მოპოვებულად მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების (მომსახურების გაწევის) დამთავრების მომენტში.

3. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, მაშინ შემოსავლის მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში. თუ სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადა მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს გადასახადის გადახდის თვალსაზრისით, მაშინ შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული (დასარიცხი) თანხის მიხედვით.

## მუხლი 74
## დარიცხვის მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი

1. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, გადამხდელის მიერ საგადასახადო აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გარიგებასთან (შეთანხმებასთან) დაკავშირებული ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება მომენტი, როცა შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. შესაძლებელია გადასახადის გადამხდელის მიერ ფინანსური ვალდებულების აღების ცალსახად მიჩნევა;

ბ. ფინანსური ვალდებულების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საკმარისი სიზუსტით;

გ. გარიგების ან ხელშეკრულების ყველა მხარემ ფაქტობრივად შეასრულა თავისი ვალდებულება ამ გარიგების ან ხელშეკრულების მიხედვით და სათანადო თანხა (სხვა შემოსავალი) ექვემდებარება აუცილებელ გადახდას.

2. ფინანსურ ვალდებულებაში იგულისხმება გარიგების (ხელშეკრულების) შედეგად აღებული ვალდებულება, რომლის შესრულების ძალითაც გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მონაწილემ უნდა მიუთითოს ვალდებულების შესაბამისი შემოსავალი ფულადი ან სხვა ფორმით.

3. სავალო ვალდებულების პროცენტის ან იჯარით გაცემული ქონებიდან გადასახდელის გადახდისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტი. თუ სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადა გადასახადის გადახდის თვალსაზრისით მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს, მაშინ ხარჯების განაწილება საანგარიშო პერიოდებს შორის ხდება მათი დარიცხვების შესაბამისად.

## მუხლი 75
## თანამფლობელობა

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა წარმონაქმნების ერთობლივი ფლობის (თანამფლობელობის) შემთხვევაში შემოსავლები და გამოქვითვები მიეკუთვნება მათ მფლობელებს და გადასახადით იბეგრება მათი წილის შესაბამისად.

## მუხლი 76
## შემოსავლები და დაქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით

1. თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით საგადასახადო წლის მანძილზე პროპორციულად მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად.

2. კონტრაქტის მიხედვით შესრულების მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო წლის ბოლომდე გაწეული ხარჯების შეპირისპირებით კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან.

3. გრძელვადიან კონტრაქტში იგულისხმება კონტრაქტი წარმოებაზე, დადგმაზე, მშენებლობაზე ან შესაბამისი მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ დამთავრებულა იმ საგადასახადო წელს, რომელშიც დაიწყო კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო, გარდა იმ კონტრაქტისა, რომლის დასრულებაც მოსალოდნელია კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

## მუხლი 77



დასაწყისი იხ. „საქართველო" №69,70

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია გურამ ლორთქიფანიძე

### მოლხენა ქუთაისურად

გადაღება გვქონდა ქუთაისში. მე და დოდოს გვიღებენ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“. ქუთაისი რისი ქუთაისია ქეიფის და დროსტარების გარეშე. ჰოდა, მოგვაკითხეს ჩვენმა ქუთაისელმა ცნობილმა მოქეიფე მეგობრებმა ჟორჟიკა იაშვილმა, ოთარ სულაბერიძემ, სოსო ხარაბაძემ და ხიდიდან გვიყვირიან: - ახლა მორჩით გლახაობასო (გლახაობა ფილმის გადაღება იყო), წავიდეთ, საქმეს ვეწიოთ, გელათში პურ-მარილი გველოდებაო.



ოპერატორი და რეჟისორი ამ დროს მზეს ეშურებოდნენ, სანამ სინათლეა, გადავიღოთო.

- ერთი საათი გვაცალეთ, ამ კადრებს მოვრჩებით და წამოვალთო! - ვუპასუხეთ ჩვენ.

ასე გავისტუმრეთ ისინი. ერთ საათში ისევ მოგვაკითხეს - წამოდითო. ახლა საათნახევარში დავიბარეთ და დარჩენილი კადრის გადაღება მოვიმიზეზეთ. ისინიც მორჩილად წავიდნენ. მესამედაც რომ მოგვაკითხეს და ისევ გადაღება გვქონდა, არაფერი თქვეს, ჩასხდნენ მანქანაში და გაგვეცილდნენ. ვიფიქრეთ, მობეზრდათ, თავი დაგვანებეს და აღარ დაბრუნდებიანო. გავაგრძელეთ გადაღება. გადის ცოტა ხანი, ვსხედვართ მე და დოდო აბაშიძე ქვებზე და რას ვხედავთ, წყალი თანდათან მატულობს. ხუთ წუთში წყალმა შესამჩნევად აიწია. ჯერ მუხლები დაფარა, მერე წელი, დიდი ქვები. ვიფიქრეთ, არიქა



წყალი ადიდდა და სანამ წაგვლეკა, თავს ვუშველოთო და სულ ფაცხაფუცხით ამოვედით წყლიდან მთელი გადამღები ჯგუფი.

თურმე რა უქნიათ ამ ქუთაისელებს? ასულან რიონჰესში და წყალი გამოუშვიათ, კარგი ნათქვამი ამათ არ ესმით და ერთი როგორ გადაიღებენ ამ გლახაობას გაგიჟებულ რიონში, მაგასაც დავინახავთო.

იცოცხლეთ, იმ დღეს ჩვენ მოვილხინეთ. იყო ქეიფი, სიმღერა, ხუმრობა, არნახული დრო გავატარეთ და ორი დღე გადაღება არავის გახსენებია.

### საათი

მამაჩემი ძალიან კარგი მეგობრების წრეში ტრიალებდა. არაჩვეულებრივი ხალხი ჰყავდა ირგვლივ შემოკრებილი, განათლებული და დახვეწილი პიროვნებები. მეც ძალიან მსიამოვნებ-



და მათთან ურთიერთობა, ბევრს ვიგებდი და ვსწავლობდი.

ოცი წლის რომ შევსრულდი, მამამ დაბადების დღე გადამიხადა. დაპატიჟა ჩემი და თავისი მეგობრები. მშვენიერი საღამო გავატარეთ. იყო სიცილი, ხუმრობა, სიმღერები. ერთი სიტყვით, უფროსებმაც და ახალგაზრდებმაც მშვენივრად მოვილხინეთ.

დაბადების დღეზე მამასგან საჩუქრად საათი მივიღე. იმ დროს საათი ახალგაზრდისათვის დიდი ფუფუნება იყო. ძალიან გამიხარდა საჩუქარი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამით ჩემს მეგობრებთანაც მოვიწონებდი თავს და მერე შეყვარებულთანაც. გავიკეთე ხელზე და გავედი ქუჩაში. ნაცნობები და უცნობები მოვიარე, თან იყო თუ არა საჭირო, ხელს წაღმა-უკუღმა ვატრიალებდი, ყველას რომ დაენახა ჩემი საათი, ზოგი აღფრთოვანებულიყო და ზოგიც შურით გამსკდარიყო. ვიარე ასე თავმომწონედ ერთი დღე და რომ დავხედე საათს, გაჩერებულიყო. სასწრაფოდ გავიქეცი მესაათესთან. მან დინჯად გაიკეთა სათვალე, მიატრიალ-მოატრიალა საათი, რაღაც მანიპულაცია ჩაატარა და დამიბრუნა გაკეთებული. მე, რა თქმა უნდა, მივეცი ერთი თუ ორი მანეთი, მადლობა გადავუხადე და გახარებული წამოვედი სახლში.

გავიდა ერთი დღე და ისევ გამიჩერდა საათი. ისევ გავიქეცი მესაათესთან. ისევ ჩაატარა რაღაცა მანიპულაცია, ფული გადავიხადე და ამუშავებული საათი დავიბრუნე.

ასე ვიარე ამაყად კიდევ ერთი დღე, საათს დემონსტრირებას ვუკეთებდი და ვაგიჟებდი ჩემს უსაათო მეგობრებს. მეორე დღისათვის ისევ გამიჩერდა. გავიქეცი ნაცნობ მესაათესთან. რომ დამინახა მესამედ მისული, სათვალის ზევიდან გადმომხედა და მკითხა:

- რა ჭირს კიდევ შენს საათს?

- რა ჭირს და კიდევ გაჩერდამეთქი, შევჩივლე.

მან საათი გამომართვა, შეატრიალა ხელში და მეუბნება:

- ბიძიკო, რომ ადგები, ან შენ თვითონ მომართე საათი, ან არადა დილიდანვე მომიტანე და მე დაგიქოქავო.

ოცი წლის კაცს როგორ არ გამახსენდა, საათს რომ მომართვა უნდოდა, არ ვიცი. ამის შემდეგ მესაათესთან მისვლა აღარ დამჭირვებია. ჩემი საათის „საიდუმლო“ უკვე ვიცოდი და დილიდანვე მომართული მქონდა.

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



### მეკურტნე მეგობარი

ქეიფი და დროსტარება ვის არ უყვარს, ჰოდა, არც მე ვიყავი გამონაკლისი. ერთხელაც მეგობართან ისე დავთვერი, რომ სახლამდე ძლივს მივლოლდი. ვიცანი მშობლიური კედლები, ფანჯრები, სადარბაზოც, მაგრამ რა გინდა? კიბეებზე, ვერ ავდივარ. ჩემი რამოდენიმე ცდა, „დამელაშქრა“ კიბეები, უშედეგოდ დამთავრდა. მინდოდა მეყვირა - დედა, მოვედი-მეთქი, მაგრამ ყვირილის მაგივრად რაღაც წავილუღლუღე. სახლის წინ კურტნის მუშები იდგნენ. როგორც იქნა, იმდენი მოვიფიქრე, დახმარებისათვის ერთ-ერთი მათგანისათვის მიმემართა. როგორ ავუხსენი არ მახსოვს, მაგრამ რაც მთავარი იყო, მიხვდა ჩემს გაჭირვებას.

მოვიდა ეს ქურთი მუშა, მხარში ამომიდგა და მეწევა სახლისაკენ. ძვრა ვერ მიყო, ვქანაობ, ვბარბაცებ, კიბეებზე კი მაინც ვერ მიუყვები. ადგა, კურტანზე მომიკიდა და ისე ამიყვანა სახლში. კარებთან ამაყუდა, დააკაკუნა და იყვირა: - დედიჯან, კარი გაალე, შვილი მოგიტანეო!



მუშას გაწეული დახმარებისათვის ფული ვაჩუქე, რამაც ძალიან გაახარა და მხარზე ხელის ტყაპუნით გამშორდა (მე კიდევ მხარზე დატყაპუნება მინდოდა?).

დილით გავიღვიძე, გავედი გარეთ, თავი გასიებული მაქვს, საშინელ „პახმელიაზე“ ვარ. სახლის წინ დგანან ისევ მუშები და საუბრობენ. თვალი მოვჭუტე და მათკენ გავიხედე. ჩემმა ქურთმა მეკურტნემ დამინახა, ხელი ამიწია კაი ძმაკაცივით და ქუჩის მეორე მხრიდან დამიყვირა: - გურამჯან, როცა გინდა, მე აქა ვარო.

ალბათ, იფიქრა, შენ მიდი, სვი და იქეიფე, მე კიდევ ფულით აგიყვან სახლში და ჩამოგიყვანო.

### ხილის სიყვარული

დოდო აბაშიძე ჩემი საუკეთესო და უსაყვარლესი მეგობარი იყო. ძალიან გულუბრყვილო კაცი იყო და დამჯერი. საოცრად უყვარდა ეროსი მანჯგალაძე. მასზე ცუდს რომ გაიგებდა, წიოდა და კიოდა, მე კიდევ, სულ ვატყუებდი და ვალიზიანებდი. ერთხელაც ვეუბნები: ეროსიმ, ბიჭო გუშინ ისე იჩხუბა, ისე, ვიღაცა სომეხ ქალს გადაკიდებია, პარიკმახერს და იმის გულისთვის ხალხი უცემია-მეთქი.

იყვირა, მარა რა იყვირა, თავში წაიშინა ხელი, ნუ მეუბნები მაგას, მაგას ნუ გამაგონებო.



ერთხელაც იალტაში ვართ გადაღებებზე. გორკის სტუდია იღებდა ფილმს „საუკუნის მოტაცება“, სადაც მე და დოდო ვთამაშობდით.

ცხონებულს უყვარდა კარგად დანაყრება და სულ იმის შიში ჰქონდა, საჭმელი არ მომაკლდესო. ერთხელაც ვიყიდეთ უამრავი ხილი, რაც მივირთვით, მივირთვით, რაც არა და, დოდომ ჩანთაში ჩაალაგა, დღეს თუ არა, ხვალ გამომადგებაო.

იმ დღეს გადაღება არ გვქონდა, თავისუფლები ვიყავით. გავისეირნეთ ბულვარში და სკამზე დავჯექით, დოდო დაღლილი იყო, მიწვა სკამზე და ჩაიძინა. მე ვერ ვისვენებ, რაღაცა მინდა ხილს მოვუხერხო.

დოდოს წინ გაზეთი დავაფინე, ჩანთიდან ამოვიღე ხილი და აკურატულად დავალაგე. ერთ ადგილას მსხალი, მეორეგან თხილი, ვაშლი, ნესვი... ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დოდო ყიდიდა ყველაფერ ამას. მე ცოტა მოშორებით დავდექი და ყურება დავიწყე.

ხალხი მიდის, მოდის, უყურებენ ხან ხილს, ხანაც დოდოს. ერთმა მეტიჩარამ ვერ მოითმინა, მივიდა დოდოსთან, აღვიძებს და დამტვრეული რუსულით ეკითხება: - დრუგ, სკოლკო სტოიტ გრუშ? და თან ანჯღრევს ამ მთა კაცს.

ლომმა გამოიღვიძა და ახედა თავზედამდგარ წვრილთვალება უზბეკს.

- რა გინდა კაცო ჩემგან? - ეკითხება დოდო.

- გრუშ, გრუშ, - უთხრა იმანაც და თითი ატაკა დიდ მსხალს.

დოდომ მიიხედ-მოიხედა, დაინახა



თავის წინ გაშლილი ხილი და მიხვდა ჩემს ოინს.

- ხელი გაუშვი, ჩემია ეს მსხლებიო, - უთხრა უზბეკს, - უხ, ლორთქო შენიო, - დაიბუხუნა დოდომ და ძებნა დამიწყო.

მერე ჩაალაგა ისევ ჩანთაში ხილი. მე სპეციალურად ცოტა მოგვიანებით მივედი დოდოსთან. მას კი აღარც ახსოვდა ჩემი „ხულიგნობის“ ამბავი და სხვა რაღაცაზე გამიბა საუბარი.

# პარლამენტში გაიხსნა კონფერენცია

საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე „დემოკრატია ადგილებზე თანამედროვე საზოგადოებაში“, რომლის ორგანიზატორია ევროსაბჭო და საქართველოს პარლამენტი, გუშინ დილით, პარლამენტში, ზურაბ ჟვანიას მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა.

ჟვანიას თქმით, კონფერენციის ჩატარება, რომლის მუშაობა 16 ივლისამდე გასტანს, სწორედ ახლა არის აუცილებელი, რადგან ქვეყანაში აქტიურ ფაზაში შევიდა დებატები ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ.

„აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ბაზა საქართველოს მთელი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით შემუშავდეს. ამიტომ, დადებით მომენტად მიმაჩნია ჩვენს კონფერენციაში ქვეყნის სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობა“ – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

საგაზაფხულო სესიის მსვლელობისას საქართველოს პარლამენტმა ვერ შესძლო მიეღო კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მომავალ წელს უნდა ჩატარდეს არჩევნები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში.

ძირითადი აზრთა სხვაობანი კანონპროექტის იმ მუხლებმა გამოიწვია, რომელთა თანახმადაც ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელები პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან. (პრაიმ-ნიუსი)



# პედაგოგებმა შიმშილობა შეწყვიტეს

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის 7 წევრმა შეწყვიტა გუშინ 4-დღიანი შიმშილობის საპროტესტო აქცია, უფასო საშუალო განათლებისა და განათლების სამინისტროს ფუნქციების გაფართოების მოთხოვნით.

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია, რომელშიც საქართველოს 2 ათასზე მეტი პედაგოგია გაწევრიანებული, მოითხოვს პარლამენტის მიერ საგაზაფხულო სესიაზე მიღებულ განათლების ახალ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. ამიტომ, პარლამენტის საშემოდგომო სესიის დაწყებისა და საზაფხულო არდადეგების დასრულებისთანავე, ასოციაციის წევრები საპროტესტო აქციის განახლებას აპირებენ.

როგორც პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის მდივანმა, დოდო ცერცვაძემ თქვა, კანონს განათლების შესახებ ის „ანტიეროვნულად“ თვლის და იმედი აქვს, რომ პედაგოგების მხრიდან შეუპოვარი წინააღმდეგობის შემთხვევაში, პარლამენტი იძულებული გახდება შესწორებები შეიტანოს თავის მიღებულ კანონში. (პრაიმ-ნიუსი)

# მესხები

გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ცნობილი ქართველი პოეტის და მეცნიერის, პროფ.შ.ლომსაძის მონოგრაფია „მესხები“. ეს ნაშრომი არის ადრე გამოქვეყნებული „ახალციხური ქრონიკების“ გაგრძელება. გამოკვლევა ეძღვნება ავტორის მშობლიურ სამცხე-ჯავახეთის წარსულს. ერთი კი გვსურს ამთავითვე აღვნიშნოთ: პროფ. შ.ლომსაძის ყოველი ნაწარმოები – მხატვრული იქნება თუ კვლევითი, ტკივილამდე მისული სიყვარულითაა გაჟღენთილი. არც ეს ნაშრომი – „მესხები“ წარმოადგენს გამონაკლისს და ისიც ცრემლნარევი სიყვარულით არის შექმნილი. ეს ცრემლი მკითხველს სასოს კი არ წარუკვეთს, არა, პირიქით, ხვალინდელი დღის იმედით ავსებს და აფხიზლებს. ეს არის ბედნიერი შემთხვევა, როცა შემოქმედებაში შერწყმულია პოეტისა და მეცნიერის ნიჭი-მადლი. ეს ყველაფერი ერთად აღებული პროფ. შ.ლომსაძის გამოკვლევებს საინტერესოს ხდის და შეიძლება ითქვას, სულმოუთქმელად იკითხება. ახლაც მკითხველის თვალწინ გაივლის მესხთა ცხოვრების სისხლიანი ქრონიკები და მას ჩააფიქრებს ამ კუთხის ტრაგიკულ ბედზე. დიახ, ისტორიამ თუ ჟამთა ბრუნვამ ინება ისე, რომ ისტორიულ კატაკლიზმებს ვერ გადაურჩა სამცხე-ჯავახეთი და დედასამშობლოს პირველი ის მოწყდა. ასე დაიწყო საქართველოს ფეოდალური დაშლისა და დაკნინების საბედისწერო ხანა. შედეგი კი მეტად მძიმე აღმოჩნდა. XVI საუკუნიდან მოყოლებული მთელი საუკუნეების მანძილზე ამ მხარის ქართველობას ძალდატანებით გამაჰმადიანებას აძალებდნენ, რაც ცხადია ეროვნული სულის დაკარგვას და გადაშენებას ნიშნავდა. ეს იყო თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკა, რისი წყალობითაც მესხების ცნობიერებაში ნელნელა შესუსტდა ქრისტიანობა და მათ შეგნებაში ფეხი მოიკიდა მუსულმანურმა ფანატიზმმა. თუმცა ასეთი ზეწოლის მიუხედავად თურმე მესხი ფარ-ხმალს არ ყრიდა და არცთუ მცირე შემთხვევაში, თავის გადარჩენის მიზნით, გარეგნულად იღებდა მუსულმანობას და შინ, ჩუმად ხატზე ლოცულობდა. „XVII-XVIII სს-ში თურქთა მიერ დაპყრობილი სამცხე-ჯავახეთი, არტაანი, ერთუშეთის ოფიციალურად გამაჰმადიანებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩუმად ქრისტიანობდა და თავის თანამოძმეებთან გაერთიანებას ელოდა. როგორც ამბობენ, ეს იყო მოლოდინის, იმედისა და ჩუმად ქრისტიანობის ხანა“ – აღნიშნავს პროფ.შ.ლომსაძე. თუ რა სიცოცხლისუნარიანი იყო მესხ პატრიოტთა შორის XVIII საუკუნეში შემუშავებული ამ კუთხის ხსნისა და აღდგომის იდეოლოგია – კარგად არის ნაჩვენები ამ ნაშრომში. მართლაც, ერეკლე მეფის მცდელობა მესხეთის მარტო ტერიტორიულ დაბრუნებას კი არ გულისხმობდა, არამედ ის ითვალისწინებდა აგრეთვე ამ მხარის ძალით მაჰმადიანობაზე მოქცეულ ქართველთა „გამოხსნას“, ოსმალთა ხელში ჩავარდნილი თანამემამულეების „კვლავ პირველსავე რჯულზე“ მოქცევას. ამ იდეის ერთგული გამტარებლები სამცხე-ჯავახეთში არცთუ მცირე რაოდენობის ქართველი ყოფილა. შეიძლება დავასახელოთ მათგან ერისთავები, კოპაძეები, ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, ყიფიანები და სხვ. ესენი ხშირად სტუმრობდნენ ერეკლეს თბილისში და ეპატიჟებოდნენ მესხეთში, ნებით უძღვნიდნენ საკუთარ ციხე-სიმაგრეებს და ა.შ. ის კი არა და თურმე ახალციხის საფაშოს სარდალი და სედახორი სელიმ აღა ყიფიანი მოურიდებლად, ხმამაღლა აცხადებდა – „მეფე ერეკლეს ერთგული ვარ და მისთვის თავს დავდებო“. ასეთი ვითარება და განწყობა სუფევდა XIX ს-მდე, საქართველოს რუსეთთან „შეერთებამდე“, როცა რუსეთმა თავისი „მფარველი“ კალთა გადააფარა საქართველოს. გენერალ პასკევიჩმა თავის ჯარით 1829 წელს გაათავისუფლა სამცხე-ჯავახეთი თურქთა ბატონობისაგან. თითქოს უნდა ეხსნა მართლმადიდებლობას ერთმორწმუნე რუსეთის ხელში, მაგრამ მეფის რუსეთს თავისი ვერაგული მიზანი ამოძრავებდა თურმე. ქართველ მაჰმადიანებს ცხოვრება აუკრძალა სამცხე-ჯავახეთში, მიუხედავად, ამ უკანასკნელთა არაერთგზის თხოვნისა – დაეტოვებინათ ისინი თავიანთ მშობლიურ, ძირძველ ქართულ მიწაზე. ის კი არა და, როგორც პროფ.შ.ლომსაძემ გამოარკვია – თურქეთსა და რუსეთს შორის ყოფილა საიდუმლო შეთანხმება – არ დაეშვათ ქართველ მაჰმადიანთა ადრინდელ სარწმუნოებაზე – ქრისტიანობაზე დაბრუნება, თუკი ისინი ამას მოიწადინებდნენ. ყოველმხრივ იმედგაცრუებულ მესხ მაჰმადიანებს ყველა გზა მოუჭრეს და პირი აქცევინეს თურქეთისაკენ. ასე მზაკვრობით დაუკარგა მეფის მთავრობამ თავისი სისხლი და ხორცი დედა საქართველოს. ამ ბოროტი ჩანაფიქრის მიზანი მალე გამომჟღავნდა, როცა ძალად განდევნილ ქართველთა ნაფუძვარზე 1829-1831 წლებში ერზრუმიდან გადმოსახლებული სომხების 30.000 (ზოგი მონაცემით 90.000) სული დაამკვიდრეს. ახალ მცხოვრებთ ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლება და მათ შეღავათიანი სესხიც კი მისცა. ამგვარი შეღავათებით გათამამებულმა სომხობამ სამცხე-ჯავახეთის დაჩემების მიზნით, ქართულ ტოპონიმთა გადაკეთება და არმენიზება დაიწყო. ხშირ შემთხვევაში ქართულ ეპიგრაფიკასაც სპობდნენ და ანადგურებდნენ. ასეთივე პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა წალკაში (თრიალეთში), სადაც ქართული ტოპონიმიის აღდგენა თითქმის შეუძლებელია, ისე წაშლილი. ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ისე, აღგვილი მიწისაგან პირისა. სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებულ სომხებს თავს ისე გაუვიდათ, რომ მათ ახალციხის სახელწოდების შეცვლაც კი მოიწადინეს და უნდოდათ ნორ ერზერუმი (ახალი ერზერუმი) ეწოდებინათ. მაგრამ ღმერთის წყალობით ეს არ გაუვიდათ. ამრიგად, 1829-1831 წლამდე სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის 90 პროცენტი თუ ქართული, ქართული ამ წლების შემდეგ მექრთამე გენერალ პასკევიჩის წყალობით დემოგრაფიული სურათი არაქართველთა სასარგებლოდ შეიცვალა, რის სამწუხარო შედეგსაც დღეს ვიმკით. ახლა ამ ისტორიულ უსამართლობაზე სულისშემძვრელი ტკივილით წერს პროფ.შ.ლომსაძე ხსენებული მონოგრაფიის შესავალ ნაწილში. ძირითადად მონოგრაფია კი ეძღვნება პატრიოტ მესხ მოღვაწეებს და მათ ეროვნულ საქმიანობას, რომელიც იწყება ვინმე – მესხით – ივანე გვარამაძის ცხოვრებით და მოღვაწეობით. ნაშრომის ეს უმთავრესი ნაწილიც არ არის მეცნიერული ნარკვევი მისი ჩვეულებრივი გაგებით, რადგან მკვლევარის მიერ მოძიებულ მშრალ საარქივო მასალას ავტორი მხატვრულ სიცოცხლეს ანიჭებს, ისე, რომ მისი დოკუმენტურობა არ ზარალდება და თანაც უფრო ინტერესით კითხულობ ჟამთა ვითარების სვლით გაყვითლებულ მტვრიან ფოლიანტებს. მთელი მონოგრაფია,



შეიძლება ითქვას, პოეტურად სუნთქავს და მკითხველიც ეცნობა სამცხე-ჯავახეთის შორეული თუ ახლო წარსულის სევდიან ფურცლებს. და თუ ამ მხარის ისტორია მთლიანად არ წაიშალა და ქართველობა არ გადაშენდა, ამ საქმეში განუზომელი ამაგი მიუძღვის ისეთ პატრიოტ მესხს, როგორიც იყო ივანე გვარამაძე. ამ მოღვაწის ცხოვრება ისე დაიწყო, რომ ის თითქოს რენეგატ ქართველად უნდა ჩამოყალიბებულიყო, რადგან ივანე გვარამაძის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო გადაგვარებული სომხოფილი არქიმადრიტი პავლე შაყულანთი-ჭილიიმუზაშვილი. ეს კიდევ არაფერი, ჭაბუკი ივანე გვარამაძე წლების განმავლობაში სწავლობდა გიუმრის (ალექსანდრაპოლის) სომხურ სემინარიაში, სადაც ყველანაირად ცდილობდნენ მასში ქართული სულის ჩაკვლას. თითქოს ყველა პირობა იყო შექმნილი ახალგაზრდა ივანე გვარამაძის გადაგვარება-გადაჯიშებისა, რაც სომეხ კათოლიკე მესვეურთა წყალობით იმ დროს იშვიათი მოვლენა არ იყო. მაგრამ მოხდა პირიქით, მისგან ქართული საქმის, კერძოდ, მესხეთის და მესხების დიდი ჭირისუფალი დადგა. ივანე გვარამაძე ხელოსნის ოჯახში დაიბადა. მამამისი წვრილმანებით ვაჭრობდა იმერეთში. თუმცა მისი წინაპრები შესანიშნავი სარაიდრობით (მზარეული) ყოფილან ცნობილნი. ამასთან დაკავშირებით პროფ.შ.ლომსაძე ერთ ეპიზოდს გვაწვდის, რომელიც ივანეს დაბადების წინახანებში მომხდარა. პასკევიჩმა 1828 წელს ახალციხეს შეუტია, მაგრამ ახალციხის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და წნისთან დამარცხდა. თურქეთში მიღებული წესის თანახმად გამარჯვების აღსანიშნავად დამარცხებული მტრის მოჭრილი თავები სულთნისთვის უნდა გაეგზავნათ. რუსის ტყვეები ჩაუმწკრივებიათ ერთ რიგად ახალციხის მოედანზე და შესარჩევად ჩამოუვლიათ. თავების სილამაზის მიხედვით თურქებს 12 კაზაკი გამოუყვანიათ და „წესისამებრ“ თავები დაუჭრიათ. „დასამუშავებლად“ და „საძღვე-გამოსაყვანად“ გადაუციათ სარაიდრებისათვის. ასეთი შემზარავი დავალება ვერ აუტანიათ გვარამაძეებს და სარაიდრობოს, ფაშის კარზე სამსახურისათვის თავი დაუნებებიათ. ამ ხანებში (1831) დაბადებულა ივანე გვარამაძე. გაკვრით უკვე ვთქვი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ ივანე გვარამაძის განსწავლულობის წლების შესახებ, ერთს კი ვიტყვი – ივანე მესხის პატრიოტული ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაზე დიდი გავლენა მოუხდენია და განსაკუთრებული ამაგი დაუდია მესხ მოღვაწეს პატრ პეტრე ხარისჭირაშვილს. ეს უკანასკნელი კი თავგამოდებით იბრძოდა, რათა ქართველ კათოლიკეებს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ჰქონოდათ. ეს ბრძო-

გაგრძელება მე-12 გვ.

# დადგა ახალი ეტაპის დაწყების დრო

„საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, ეკონომიკური რეფორმების მატერიალურ უზრუნველყოფას დიდად შეუწყო ხელი უპრეცედენტო დახმარებამ, რომელიც ჩვენ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღმოგვიჩინა“, – განაცხადა ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც 16 ივლისს 7-დღიანი ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება აშშ-ში.

„1993 წლიდან ეს დახმარება სულ უფრო იზრდება და პარტნიორულ ხასიათს იძენს“, – თქვა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ აშშ აქტიურად მონაწილეობს სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის კავკასიაში, მათ შორის, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

„დადგა დრო, რომ საქართველოს მეგობარმა სახელმწიფოებმა რუსეთთან ურთიერთობაში, რომელიც უსათუოდ შედის მათ რიცხვში, გაეროს ეგიდით, დასაბამი დაუდონ ახალ ეტაპს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტი დიდ იმედს ამყარებს ნიუ-იორკში დაგეგმილ შეხვედრაზე გაეროს ახალ გენერალურ მდივანთან, კოფი ანანთან. (პრაიმ-ნიუსი)

# მესაზღვრეები განაგრძობენ სამხედრო სწავლებას

როგორც სააგენტო „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მაიორმა გელა ხუციშვილმა განაცხადა, 25 ივლისს, საქართველოს სასაზღვრო ჯარების ზემდეგებისაგან და ოფიცრებისაგან დაკომპლექტებული 12 კაციანი ჯგუფი აშშ-ში, კოლორადოს შტატში გაივლის სამთო სამხედრო მომზადებას. ღონისძიების ორგანიზატორია საქართველოში აშშ-ს საელჩოს სამხედრო მისია.

# აზერბაიჯანი 70 მილიონ დოლარს მიიღებს

27 ივლისს აზერბაიჯანის მთავრობა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი ხელს მოაწერენ შეთანხმებას, კავკასიის ამ რესპუბლიკისთვის 70 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე, რაც სტრუქტურულ გარდაქმნებს უნდა მოხმარდეს, – იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ბაქოდან.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ელმან რუსტამოვმა, ამ დოკუმენტზე ხელის მოწერიდან ორი კვირის შემდეგ აზერბაიჯანი კრედიტის პირველ ტრანშს მიიღებს: მილიონი დოლარის ოდენობით.

ამავე მოცულობის მეორე ტრანში 1998 წლის იანვარში გამოიყოფა.

კრედიტს 20 წლით შეღავათიანი პირობებით გამოყოფს მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი სტრუქტურა – განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, 0.75 პროცენტით და მისი დაფარვა 10 წლის შემდეგ დაიწყება.

ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფოს შორის საქართველო ლიდერია მსოფლიოს ბანკის მიერ სტრუქტურულ რეორგანიზაციებზე გამოყოფილი კრედიტების მოცულობის მიხედვით. 1994-დან 1997 წლამდე ჩვენმა ქვეყანამ უკვე 180 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. (პრაიმ-ნიუსი)

# თურქეთი დაინტერესებულია სტაბილურობით კავკასიაში

„ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მშვიდობა კავკასიაში“, – განაცხადა გუშინ თბილისის აეროპორტში თურქეთის პრეზიდენტმა, სულეიმან დემირელმა, რომელიც ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში.

თურქეთის პრეზიდენტმა, რომელსაც აეროპორტში დახვდნენ ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია, ნიკო ლეკიშვილი და საქართველოს სხვა ხელმძღვანელი პირები, განაცხადა, რომ ორმხრივი ურთიერთობები „შესანიშნავად ვითარდება და აუცილებელია მათი უფრო მაღალ დონეზე დაყენება“.

ამ მიზნით, პრეზიდენტთან ერთად, საქართველოში ჩამოვიდა წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშია 6 მინისტრი და თურქ ბიზნესმენთა ჯგუფი.

საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის თქმით, რამდენიმე წლიწადში „საქართველომ და თურქეთმა ისეთი გზა განვლეს, რომელსაც სხვა ქვეყნები ათეულობით წლიწადს ანდომებდნენ“.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში უკვე დაიწყო ორი ქვეყნის პრეზიდენტის მოლაპარაკებები და დელეგაციათა შეხვედრები. (პრაიმ-ნიუსი)

# ლანა ღოღობერიძეს საფრანგეთის ღირსების ეროვნული ორდენი მიენიჭა

პარლამენტის პრეს-ცენტრის ცნობით, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის ხელმოწერით, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ ცნობილ ქართველ კინორეჟისორსა და ფრანგული პოეზიის ქართულ ენაზე მთარგმნელს, პოლიტიკურ მოღვაწეს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ლანა ღოღობერიძეს საფრანგეთის ღირსების ეროვნული ორდენი მიანიჭა.

15 ივლისს, 13 საათზე პარლამენტის „ადამ და ევას“ სახ. დარბაზში გაიმართება ორდენის გადაცემის ცერემონია. ორდენს გადასცემს საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე. (იფრინდა)

# რუსეთი მზად არის ქართული ჩაის შესასყიდად

სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაი“-ს დირექტორი ენვერ მალაზონია, რუსეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საორგანიზაციო კომიტეტის შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად გუშინ მოსკოვს გაემგზავრება. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში თავად ე.მალაზონიამ განაცხადა. მისი თქმით, შეკრებაზე საუბარი შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, საქართველომ რუსეთს 8000 ტონა ჩაის პროდუქცია უნდა მიაწოდოს. ე.მალაზონიას თქმით, გაიმართება შეხვედრები რუსეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. (იფრინდა)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ვაკეში ყიფშიძის ქ-ზე 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის კუთხის ბინა V ს-ზე. სარდაფით, ტელეფონით. ფასი 42 ათასი დოლარი. 23-07-04, 64-19-74 რაისა

იყიდება რკინიგზის სადგურთან 300 მეტრში, 70 კვ. მ ფართის ბინა საოფისე და მაღაზიისათვის. აქვს სარდაფი 40 კვ. მ. მიშენების და დაშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-52-14 უშანგი (საღამოს)

იყიდება დიდ დიღომში 3-ოთახიანი თუხარელის პროექტის ბინა მე-5 სართულზე, მე-3 მ/ნი, კარ-ფანჯრები არა აქვს, ფასი 3800$. ტელ. 95-30-47

იყიდება ბინა მარჯანიშვილის მეტროსთან ახლოს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე. 2-სართულნახევრიანი. ტელეფონით. საწყისი ფასი 25000$. ტელ. 95-30-47

სასწრაფოდ იყიდება საბურთალოზე, შმიდტის ქუჩაზე (ინფექციური საავადმყოფოს უკან) 14-სართულიანის მე-11 სართულზე 4-ოთახიანი სარემონტო ბინა. საერთო ფართი 115 კვ.მ. ფასი 23000$ 39-16-29 (საღამოს საათებში)

იყიდება ორსართულიანი გარემონტებული ბინა, 200 კვ.მ. ეზოთი მიმდებარე ადგილზე ნაკვეთით, 500 კვ.მ. ხეხილით, საწყისი ფასი 14000 დოლარი. მის. სოფ. გლდანი, სტალინის ქ. №12. იკითხეთ გია ბურდული

სასწრაფოდ ვყიდი რუსთავში ერთოთახიან ბინას 8-სართულიანის მე-8 სართულზე. ფასი 1000$. ტელ. 63-63-25 ჰანრი

იყიდება 4-ოთახიანი ბინა მთაწმინდაზე, 2-გარემონტებულია, 2 – გასარემონტებელი. საწყისი ფასი 20000$ ტელ. 64-38-31 ან 63-00-78

იყიდება 3-ოთახიანი კოოპერატიული პრივატიზებული სუფთა ბინა ლოჯით, ტელეფონით, ღია გრძელი აივნით ფასი 30000$ საწყისი ტელ. 36-41-23

იყიდება ოროთახიანი ბინა ვერაზე ყველა სათავსოთი, ტელეფონით. მის. ჭოველიძის 5. ფასი 13000$ 98-95-56 ნელი ან ნუგზარი

სასწრაფოდ იყიდება 2 საგარაკე ნაკვეთი საგურამოდან 7 კმ-ის დაშორებით 1 ნაკვეთი ხეხილით, სარწყავი წყლით, დენით და სასმელი წყლით სოფლის ნაპირას 1500 კვ.მ. მე-2 ნაკვეთი ნაკრძალიდან 500 მ-ის დაშორებით, 2500 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 62-11-64 ლია ან რობერტი

იყიდება საბურთალოს დასაწყისში სამოთახიანი კუთხის ბინა; რემონტით, სარდაფით, პატარა ეზოთი. კარკასი ამოყვანილია მიშენებისათვის. ფასი 33000$ ტელ. 37-44-43

იყიდება ვაკეში ორსართულიანი კაპიტალური აგურის სახლის ნახევარი. ნახევარი სახლის ფართობი 300 კვ. მ-ია. ხეხილიანი ეზოთი (200 კვ. მ.) ნახევრად საცხოვრებელი სარდაფი 50კვმ 4-ადგილიანი ავტოფარეხით და ტელეფონით. მის. ტაბიძის I შესახვევი №7 22-47-98 ფასი შეთანხმებით

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს 93-18-41**

## სხვადასხვა

სასწრაფოდ შეიძლება ჩეხური წარმოების გიტარას შეღავათიან ფასში. ტელ. 64-76-77 მაიკო

იყიდება ხელით ნაქსოვი სამეულის გადასაფარებელი. ფასი შეთანხმებით. 37-74-68

იყიდება ვერტიკალური საოფისე ფარდები თავისსავე კარნიზზე 2X92 2X60-ზე, ვარდისფერი და ცისფერი 1 ცალის ფასი 150 ლარი ტელ. 37-44-43

## ქირავდება

ქირავდება ერთი ოთახი ღია აივნით, მეორე სართულზე 98-95-56

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა მთაწმინდაზე. საწყისი ფასი 120$ ტელ. 64-38-31 ან 63-00-78

ვაქირავებ ერთოთახიან ბინას ორთაჭალაში, გორგასლის 39, XIII სად. II სართ. ბინა 23. ცხელი წყლით, მუდმივი ბუნებრივი აირით. ფასი თვეში 150$ ტელ. 72-35-72

ვიქირავებ ერთოთახიან ბინას მუხიანში, გლდანში ან სარაჯიშვილის გამზირზე 50 ლარის ფარგლებში. ტელ. 63-63-25 ჰანრი

ვაქირავებ სამოთახიან ბინას ტელეფონით მე-2 სართულზე. მის. ჭოველიძის 5 ტელ. 29-45-06 მარინა (შეიძლება გაქირავდეს ოთახები ცალ-ცალკე)

ქირავდება ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ფურგონით ფასი შეთანხმებით. 23-18-20

## შევასწავლი

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77 მაიკო


აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


## უცხოეთი

# ელცინი კარელიაში ისვენებს

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ისვენებს კარელიაში. მისი მეუღლის ნაინა იოსეფოვნას თქმით, პრეზიდენტ ელცინს ძალიან მოუხდა კარელიის ჰაერი, რაც დაეტყო კიდეც მის ჯანმრთელობას, იგი ბანაობს ტბაში, აქვს სატელეფონო კავშირები რუსეთთან, გარე სამყაროსთან.

# სტიქია ბობოქრობს

სამხრეთ მორავიაში მეხუთე დღეა სტიქია ბობოქრობს. წყალდიდობის შედეგად დაიტბორა სამი ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, საჭირო გახდა მოსახლეობის ევაკუირება.

# ხანძარმა 22 კაცი იმსხვერპლა

ტაილანდში გაზის აფეთქების შედეგად ხანძარი გაუჩნდა 16სართულიან სასტუმროს. ხანძარმა 22 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

# მგზავრებს ეძებდნენ

კუბის სანაპიროზე გრძელდება კატასტროფის შედეგად დაღუპული თვითმფრინავის „ან-24“-ის მგზავრების ძებნა. თვითმფრინავში 24 მგზავრი იმყოფებოდა. მაშველთა აზრით მგზავრთა გადარჩენის ალბათობა მინიმალურია.

# კუკი მოსკოვშია

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში იმყოფება. ეს მისი პირველი ვიზიტია რუსეთში. იგი შეხვდება საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს, პირველ ვიცე-პრემიერს ბორის ნემცოვს, ასევე ქალაქის მერს იური ლუჟკოვს, სხვა ოფიციალურ პირებს. საუბარი შეეხება ინგლის-რუსეთის ურთიერთობის კონკრეტულ საკითხებს, რომელსაც შემოდგომაზე ხელს მოაწერენ პრეზიდენტი ბორის ელცინი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლეერი.

# ოლბრაიტი ჩეხეთში ურთიერთობებს აზუსტებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი ჩეხეთში ჩავიდა. ვიზიტის მიზანია ნატოს ახალ წევრ ქვეყანასთან ურთიერთობის დაზუსტება. პროგრამა „ენტევეს“ ცნობით ჩეხეთში ოლბრაიტს უმაღლესი ჯილდო – თეთრი ლომი გადაეცემა.

# ავტოკატასტროფა

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, 13 ივლისს თბილისი-სენაკი-ლესელიძის 24-ე კმ-ზე ა/მანქანა ვაზ-2106, რომელსაც მართავდა თბილისელი სულიკო გოგორიშვილი, გადავარდა მდ.არაგვის ხიდიდან, რის შედეგადაც მძღოლი და ა/მანქანაში მყოფი მგზავრები ა.ვანიშვილი, ი.გიორხელიძე და ვ.გოგელია ადგილზე გარდაიცვალნენ. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამსახური.

# ოპერაცია ნარკომანთა გამოსავლენად

შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი თბილისელი გოჩა გველესიანი, რომელმაც ყალბ 1000$-ად ამირან გველესიანისაგან შეიძინა 100 გრამი ოპიუმი.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დააკავეს თბილისელი, ხუთჯერ ნასამართლევი ა.გველესიანი, რომელსაც ბინაში აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 265 გრ. ოპიუმი (1 გრამის ღირებულება 10$), სამედიცინო სასწორი, პოლიეთილენის 20 პატარა ნაჭერი და 5 ყალბი 100$-იანი კუპიურა. ა.გველესიანის განმარტებით, აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება მასთან სარეალიზაციოდ ჩამოიტანა მისმა მეგობარმა, მარნეულის რ-ნის სოფ.ქესალოში მცხოვრებმა მაჰვადდინ ჰუსეინოვმა, რომელიც ასევე დააკავეს.


რეკლამა გაზეთ „საქართველოში“ თქვენი საქმიანობის წარმატების საწინდარია!

**დაგვირეკეთ 93-18-41**

## თბილისი და ანკარა მოითხოვენ, რომ...

თბილისში საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრისას გამოითქვა იმედი, რომ კასპიის ძირითადი ნავთობის ძირითადი ნაწილის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებენ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რადგან მას ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სტრატეგიული უპირატესობები გააჩნია, – ნათქვამია ერთობლივ დასკვნით კომუნიკეში.

„ნავთობის ტრანსპორტირების პრობლემები ატარებენ არა პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ხასიათს და ამ კუთხით, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს ალტერნატივა არ გააჩნია“, – განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა.

ედუარდ შევარდნაძის თქმით, „ნავთობის ტრანზიტს თავისი კანონზომიერებები აქვს და ამას ვერსად გაექცევი“.

ბაქო-საქართველო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს განიხილავენ, როგორც ერთ-ერთს, კასპიის ნავთობის ძირითადი ნაწილის ტრანზიტის სამი ვარიანტიდან. მიმდინარე წლის თებერვალში, ბაქოში ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა პირობა დადო, რომ მარშრუტის არჩევისას აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საქართველოს ინტერესები.

თურქეთი იღებს ვალდებულებას, რომ თავად იკისრებს ნავთობსადენის მშენებლობისთვის აუცილებელი ხარჯების უმეტეს ნაწილს. (პრაიმ-ნიუსი)

## თურქეთი არ უჭერს მხარს სეპარატიზმს აფხაზეთში

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მე ყოველთვის ვამბობდი ამას, ვამბობ და კვლავაც ვიტყვი“, – განაცხადა ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტმა, სულეიმან დემირელმა.

დემირელმა „უსაფუძვლო“ უწოდა იმას, რომ აფხაზური მხარე ციტირებას უკეთებს, თითქოსდა, მის მიერ ხუთი წლის წინათ ნათქვამ ფრაზას იმის შესახებ, რომ „საქართველო შეცდა, როცა აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა“.

თბილისში საქართველო-თურქეთის მოლაპარაკებების შედეგებისადმი მიძღვნილ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „აფხაზეთის საკითხი მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს და გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების დაურღვევლობის პრინციპი“.

როგორც გაზეთი „რეზონანსი“ იტყობინება, ადრე თურქი სამხედროები პირობას დებდნენ, რომ თუ აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სანაცვლოდ საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს გააგზავნიან, თურქეთი იქ ერთ ასეულს გააგზავნის. (პრაიმ-ნიუსი)

# მესხეთი

მეცხრე გვერდიდან

ლა კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით და შემართებით გააგრძელა ივანე გვარამაძემ, რომელსაც გვერდში ედგა მთელი გუნდი ქართველი პატრიოტი კათოლიკებისა. ამათგან გამოირჩეოდა მისი მოწაფე მიხეილ თამარაშვილი, რომელმაც განუზომელი ღვაწლი დასდო საქართველოში კათოლიკობის ისტორიის შესწავლას. კათოლიკობას საქართველოში დასაბამი მიეცა XIII საუკუნეში და საუკუნეების განმავლობაში ზედმეტ-ნაკლები ინტენსივობით ვრცელდებოდა. XIV საუკუნის 30-იან წლებში პაპ იოანე XXIII მიერ გამოცემული ბულის საფუძველზე ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო ქალაქად გამოცხადდა თბილისი. ეპისკოპოსად დაინიშნა ქართული ენის მცოდნე, დომინიკანელთა ორდენის წევრი იოანე ფლორენციელი. თბილისის საეპისკოპოსო მუშაობდა ქართული ტიპიკონით. ეს პროცესი გრძელდებოდა XV საუკუნის დასასრულამდე. XVI ს-ის დასაწყისიდან თურქების წინა აზიაში გაბატონების შედეგად დასავლეთთან კავშირი შეწყდა, რის შედეგადაც თბილისის საეპისკოპოსო გაუქმდა. კათოლიკური ტაძრები და სკოლები დაიხურა: „გაუქმებული მრევლის ერთი ნაწილი კვლავ ადრინდელ მართლმადიდებლობას დაუბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი რომთან შეთანხმებით კილიკია, ნახჩევანიდან შემოსულ სომეხ კათოლიკე უნითორებს დაუმორჩილეს“ – შენიშნავს პროფ. შლომსაძე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველ კათოლიკეთა ამ ძნელბედობით ისარგებლეს სომეხმა უნითორებმა და სასწრაფოდ დაიწყეს ქართველი კათოლიკების სომხურ რიტაზე გადაყვანა, რასაც ქართველ კათოლიკეთა პროტესტი მოყვა და დაიწყეს ბრძოლა ქართულ ენაზე წირვის უფლების მისაღებად. ბრძოლამ გამოიღო ნაყოფი და XVIII ს-ში თეანეთელი პატრის, პიეტრო ავიტაბელეს შემწეობით რომს ნება დაურთავს ქართველ კათოლიკეებს ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე შეესრულებინათ. ეს აქტი არ განხორციელებულა იმ მიზეზით, რომ თეანეთელმა პატრებმა თურქეთის „წყალობით“ ვერ შეაღწიეს სამცხე-ჯავახეთში. სომეხი უნითორები თავიანთ საქმეს შეუპოვრად განაგრძობდნენ. ამიტომ ქართველ-სომეხ კათოლიკეთა გამწვავებული ურთიერთობა რომ შეენელებინა, ვატიკანმა 1715 წელს ახალციხელი პავლე ლეონი ამ მხარის სათაშოს მთავარ მოძღვრად გამოგზავნა. მან ნება დართო ქართველ კათოლიკეებს მშობლიური კონდაკის ხმარებისა. სომეხმა უნითორებმა იჩივლეს. ისინი უკადრის საშუალებასაც არ მოერიდნენ და ქართველი კათოლიკე პატრები და პავლე ლეონი დაატყვევეს, ცხენზე დააკრეს, ეჩმიაძინს ჩაიყვანეს და მთელი სამი წელი აწამეს. სომეხ კათოლიკეთა ბრძოლა ქართველთა წინააღმდეგ არ ცხრებოდა და დროთა განმავლობაში უფრო აგრესიული ხდებოდა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით და არა პატივისცემით თურქეთი მხარს უჭერდა სომხებს და ხელს უწყობდა კიდეც. სამცხე-ჯავახეთის მართლმადიდებლური ქართველობა ორ ცეცხლშუა მოაქციეს, ან გამაჰმადიანება, ან სომხურ კათოლიკურ წესზე მოქცევა. ამიტომ ფიზიკურად რომ გადაერჩინა თავი, ისევ სომხურ ქრისტიანულ-კათოლიკურ რიტაზე მოქცევას ირჩევდა. კიდევ უფრო გაართულა საქმე საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. რუსეთმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ლათინ ბერებს და განდევნეს კიდეც. ამ მომენტით ჩვეულებისამებრ ისარგებლეს სომეხმა კათოლიკებმა, რომელთაც მეფის მთავრობა უჭერდა მხარს და ხელს უწყობდა არამარტო ლათინი ბერების, არამედ ქართველი კათოლიკების წინააღმდეგაც ბრძოლაში. კიდევ უარესი ის იყო, XIX ს-ის 80-90-იან წლებში გაზ. „მშკა“-ის ფურცლებზე ორმა სომეხმა წამოიწყო წერილების გამოქვეყნება, სადაც ამტკიცებდნენ, თითქოს არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკები, ისინი წარმომავლობით სომხები არიანო და სხვა. ამგვარ ვაიმოღვაწე სომხებს საფუძვლიანი პასუხი გასცა ივანე გვარამაძის მოწაფემ და თანამებრძოლმა, ცნობილმა ისტორიკოსმა და პატრმა მიქაელ თამარაშვილმა. ამ ბრძოლის სული და გული გახდა ივანე გვარამაძე, რომლის მოღვაწეობას ყველაზე სრულად გადმოგვცემს პროფ. შლომსაძე თავის მონოგრაფიაში.

**ბონდო არველაძე**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



## საქართველოსა და თურქეთს შორის სრული ურთიერთგაგებაა

8 დოკუმენტმა, მათ შორის დეკლარაციამ ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ, რომლებსაც ქართულმა და თურქულმა დელეგაციებმა მოაწერეს ხელი თბილისში თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის დროს, შეავსეს 50-ზე მეტი დოკუმენტისაგან შემდგარი ორი ქვეყნის სამართლებრივი ბაზა.

„აბსოლუტურად ემთხვევა ჩვენი შეხედულებები რეგიონალურ და გლობალურ პრობლემებზე“, – განაცხადა შევარდნაძემ გუშინდელ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე. სულეიმან დემირელის თქმით, „ორ ქვეყანას შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს“.

„თურქული ინვესტიციები ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას“, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ საქართველოში უკვე 100-ზე მეტი თურქეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო შეიქმნა.

დემირელის თქმით, უახლოესი დროის პერსპექტიულ პროექტებად შეიძლება ჩაითვალოს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა და საქართველოში ელექტროენერგიის მოწოდების გაფართოება.

„ჩვენი თანამშრომლობის ტემპები უნდა იზრდებოდეს“, – აღნიშნა სულეიმან დემირელმა და საქართველოს პრეზიდენტი, ნებისმიერ მისთვის ხელსაყრელ დროს, თურქეთში მიიწვია სტუმრად.

გუშინ, თბილისში ვიზიტის დასასრულს, თურქეთის პრეზიდენტმა მოლაპარაკებები გამართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ზურაბ ჟვანიასთან.

# კროსვორდი



თარაზულად: 1. ფრანგი კინორეჟისორი; 2. სახელმწიფო ბანკი, დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ემისიას; 3. აშშ-ის შტატი; 4. ძვ.ქართულად ხვეწნა, მუდარა, ვედრება; 5. კედლის შანდალი; 6. ნახევარკუნძული ევროპაში; 7. გამარჯვებული სარდლის საზეიმო შეხვედრა ძველ რომში; 8. ასე იხსენიებენ ლათინური ამერიკის მცხოვრებლები თავიანთ ჩრდილოეთელ თანამოძმეებს; 9. ფრანგი მხატვარი; 10. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი (ამჟამად სომხეთში); 11. საკერავი მანქანების ცნობილი ფირმა; 12. ინგლისელი ფიზიკოსი; 13. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი; 14. სოფელი გურიაში; 15. მთავარი სისხლძარღვი; 16. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი აფხაზეთში; 17. ქართველი რეჟისორი; 18. ცოდვების მიტევების ოფიციალური საბუთი.

შვეულად: 1. ვაზის ავადმყოფობა; 2. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 3. ზღვისპირა სოფელი სამეგრელოში; 4. აშშ-ს შტატი; 5. ტორეადორი; 6. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 7. დაკიდებული საწოლი; 8. მკითხავი; 9. შტატი აშშ-ში; 10. ევროპის ქვეყნებში – ქალაქის თვითმმართველობის შენობა; 11. ქართველი მსახიობი; 12. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარგზავნილი მქადაგებელი რელიგიური პროპაგანდის გასაწევად; 13. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 14. ქალაქი გერმანიაში; 15. თვალის სნეულება; 16. მუსლიმანურ ქვეყნებში ქალის მოსასხამი, რომელიც სახეს ფარავს; 17. იაპონელი სამურაების თვითმკვლელობის წესი; 18. ქიმიური ელემენტი; 19. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 20. ძველი ქართული ციხე-ქალაქი; 21. უღელტეხილი კავკასიონზე; 22. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 23. შრი-ლანკას დედაქალაქი; 24. მთა მცირე კავკასიონის ქედზე.


მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444